გილოცავთ შობა-ახალ წელს!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე
მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐ

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №1 {7031} 18 იანვარი 2021 წელი ● www. Terjola. gov. ge

მე ვარ მისანი ხარი წიქარა...

ᲨᲝᲗᲐ ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ

**მე ვარ მისანი ხარი წიქარა,
შენი დვრიტა ვარ, მამულ-დედულო,
ზღაპრიდან მისთვის გამოვიპარე
რომ გემსახურო და გიერთგულო.
შენი უღელი მემჩატოს აგრემც,
ქედზე რო მადგას განაჩენივით
არ მომიღერო გეთაყვა სახრე,
სიყვარულისთვის ვარ გაჩენილი.
და თუ გქონია რამე ტკივილი
ან რამე ჭირი ზნეკეთილიანს,
ამილოკია ქვამარილივით
და ხარის ცრემლით დამიტირია.
რამდენჯერ ვმდგარვარ სამოთხის კართან,
ქედგახეხილი, გადატყაული...
ღმერთთან საუბრის და ნიჭის გარდა
არაფერი მაქვს დანაშაული.
და როცა მიწას მივებარები,
ნაჯაფარი და ტანდაკორძილი,
შენზე დამრჩება ისევ თვალები
ანგელოსების ამოკოცნილი.**

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ, ᲐᲠᲩᲘᲚ ᲒᲔᲒᲔᲜᲐᲕᲐᲡ ᲤᲝᲢᲝ.
ᲛᲝᲒᲕᲐᲬᲝᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲛᲐ. ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ 2015 ᲬᲔᲚᲡ.

„უნდა ვიცოდეთ, რომ მხოლოდ სიტყვით, ღვთის სიყვარული არაფრის მომცემია თუ იგი საქმით მოყვასთან მიმართებაში არ ჰპოვებს მუდმივად გამოვლენას“...

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ, ᲛᲪᲮᲔᲗᲐ-ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲘᲭᲕᲘᲜᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲣᲛᲐᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘᲡ ᲘᲚᲘᲐ II-ᲘᲡ

☞3

ᲡᲐᲨᲝᲑᲐᲝ ᲔᲞᲘᲡᲢᲝᲚᲔ

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის სოციალური პროგრამები მიღებულია!

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, გასული წლის მიწურულს—29 დეკემბერს დაამტკიცა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული სოციალური პროგრამები 2021 წლისათვის, რომელთა ჯამური ბიუჯეტი 980,0 ათასი ლარია.

პროგრამებს ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

მრავალჟამიერ!!!

გვილოცავენ, ვულოცავთ...

2021 წლის შემობრძანებას გილოცავთ!

ვისურვებდი, ახალი წელი თქვენს ოჯახებში სიკეთით, სიუხვითა და წარმატებებით დამკვიდრებულიყოს!

ასრულებულიყოს თქვენი ყველა ოცნება და ის კეთილი სურვილები, რომელზეც ხშირად გეფიქრებათ!

2020 მიილია. ბევრი რთული გამოწვევით, ამავე დროს ბევრი სიახლით აღსავსე. მიუხედავად ახალი კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემიისა, ჩვენ, ყველანი, ვცდილობდით ერთმანეთისთვის ურთიერთთანადგომის მაგალითის მიცემას.

ვისურვებდი, 2021 წელი ახალი გეგმებითა და იდეებით, სასიხარულო და წინმავალი ნაბიჯებით შემობრძანებულიყოს!

ამ ახალ წელს მოეტანოს ბევრი ახალი შესაძლებლობა, როგორც ჩვენი ოჯახების, ასევე ჩვენი მუნიციპალიტეტისა და ქვეყნისთვის.

მსურს, ეს წელი იყოს სასიამოვნოდ დასამახსოვრებელი, მხოლოდ კარგი ამბების, უკეთესი ცვლილებების წელი. გამარჯვების სიხარული ბევრჯერ განგეცადოთ.

განსაკუთრებით მინდა მივულოცო ახალი წლის შემობრძანება ჩვენს მედიკოსებს, რომლებიც ახალი რეალობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, ბრძოლის წინა ხაზზე დგანან და ყოველდღიურად გვიჩვენებენ გმირობის მაგალითებს.

მინდა ასევე მივულოცო ჩვენს პედაგოგებს, მოსწავლეებს, რომლებიც რთულ, მათთვის უცხო პირობებში ზრუნავენ იმაზე, რომ განათლება გახდეს მომავალი თაობის მთავარი მიზანი. მინდა მივულოცო ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა იმ ადამიანს, რომელიც ძალღონეს არ იშურებს საკუთარი სოფლის თუ ჩვენი ქალაქის სიმშვიდისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად. გილოცავთ ყველას!

ბედნიერი ახალი წელი!

ნინო ჯანელიძე
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

2021 წელი ბედნიერების, სიხარულის და საქართველოს გამთლიანების წელი ყოფილიყოს!



2021 წელი სიხარულის, ბედნიერების და საქართველოს გამთლიანების წელი ყოფილიყოს!

მოგესალმებით ძვირფასო ზესტაფონელებო!

მე მინდა მივესალმო ჩემს უსაყვარლეს მეგობრებს თერჯოლაში, ტყიბულსა და ბაღდათში.

მინდა მოგილოცოთ 2021 წელი. ვისურვოთ, რომ საქართველოში მხოლოდ ბედნიერი და მხიარული სახეები გვენახოს.

ურთულესი იყო ჩემთვის 2020 წელი. 2020-მა წელმა საქართველოს და სრულიად მსოფლიოს ძალიან ბევრი ადამიანი წაართვა. ჩვენ დავკარგეთ მშობლები, მეგობრები, ჩვენი დედმამიშვილები. 2020 წელი ისტორიაში დარჩება, როგორც ერთ-ერთი ურთულესი წელი მთელი მსოფლიოსათვის.

მინდა კიდევ ერთხელ მოგილოცოთ ახალი 2021 წელი. იგი ბედნიერების, სიხარულის და საქართველოს გამთლიანების წელი ყოფილიყოს!

გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

გისურვებთ სიკეთითა და ბედნიერებით აღსავსე დღეებს. რაც მთავარია, მსოფლიო პანდემიის პირობებში ჯანმრთელობისა და მხნეობის შენარჩუნებას.

ბეჭან წაქაძე,
ზესტაფონი-თერჯოლა-ტყიბული-ბაღდათის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში

გილოცავთ შობა-ახალი წლის შემობრძანებას!

გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, კეთილდღეობას, წინსვლასა და გაძლიერებას!

გავაცილეთ 2020 წელი, რომელიც ერთდროულად, მძიმე განსაცდელისა და დიდი სასიკეთო ცვლილებების წელი იყო.

განვლილმა პერიოდმა გვაჩვენა, თუ როგორ ვგრძნობთ ერთმანეთისადმი ზრუნვას, პატივისცემას, სიყვარულს, თანადგომასა და მხარდაჭერას. სრულიად ახალი გამოწვევების წინაშე აღმოვჩნდით და გავერთიანდით ამ მოულოდნელი სირთულეების დასაძლევად. სწორედ ასეთი მიდგომებითა და დამოკიდებულებით ერთად გავაგრძელებთ ჩვენი მუნიციპალიტეტის წინსვლასა და განვითარებას.

მჯერა, რომ 2021 წელი სასიკეთო ცვლილებების, კიდევ უფრო მეტად საქმიანი და ახალი შესაძლებლობების მომტანი იქნება. წინ საინტერესო გამოწვევები გველის, რომელსაც ჩვენი ერთიანობით, დასახული მიზნისკენ დაუღალავი სწრაფვით, შრომითა და ერთმანეთისადმი სიყვარულით გავუმკლავდებით, რათა შევძლოთ უკეთეს პირობებში ცხოვრება!

ჩემო მეგობრებო, განსაკუთრებულად მინდა მივულოცო ახალი წელი იმ ადამიანებს, რომლებიც ნებისმიერი დღესასწაულისა, თუ ქვეყანაში არსებული რთული მდგომარეობის დროს უწყვეტ რეჟიმში განაგრძობენ თავიანთ პროფესიულ საქმიანობას. ჩვენს მუნიციპალიტეტში მოღვაწე ექიმებს, პედაგოგებს, მეეზოვეებს, მეხანძრე-მაშველებსა და პოლიციელებს, რომლებიც ერთგულად ასრულებენ საკუთარ მოვალეობებს და ღირსეულად მონაწილეობენ ჩვენი მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის განვითარებაში.

კიდევ ერთხელ მინდა, თითოეულ თქვენგანს გულითადად მოგილოცოთ ახალი, 2021 წელი!

ყველას გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებას და რაც მთავარია, მშვიდობით გადაგვეტანოს რთული პერიოდი,რომლის წინაშეც ვდგავართ!

ლაშა გოგიაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი

საახალწლოდ ჩვეული მონდომებით გაისარჯა თერჯოლის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის თითოეული თანამშრომელი. საგანგებოდ მოირთო ქალაქი, დაიდგა მთავარი ნაძვისხე. კორონავირუსული პანდემიის ვითარებაში, დუხჭირი ყოფის პირობებში, მუნიციპალიტეტის მერის, ლაშა გოგიაშვილისა და საკრებულოს თავმჯდომარის, ნინო ჯანელიძის თაოსნობით მათ მაქსიმუმი იღონეს, სიხარული მიენიჭებინათ სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის, თითოეული თერჯოლელისათვის.

ახალი წლის წინა პერიოდში ამ მიმართებით განსაზღვრულ ღონისძიებებთან ერთად თერჯოლის თვითმმართველობამ მთელ ვერტიკალში, ასევე დაძაბულად იმუშავა იმ ათეულობით ინფრასტრუქტურული პროექტის საფინიშო ზღვარზე მისაყვანად, რაც აგრერიგად სჭირდება მოსახლეობას და მრავალი სხვა...

გულიანმა გარჯამ შედეგებიც კარგი გამოიღო, რასაც ჩვენს გაზეთში თერჯოლელთა მადლიერება მოჰყვა... ზოგიერთ მათგანს აქვე გთავაზობთ, ბევრად მეტს კი „თერჯოლის“ დანარჩენ გვერდებზე იხილავთ.

ახალი წლიდან სიახლეებია თავად მმართველობაში, მოვიდნენ ახალი სახეები, რომელთაც გულწრფელად ვუსურვებთ წარმატებებს.

ახალ წელს მერიის ერთ-ერთი სამსახურის უფროსი კი ძველ წელში მიღებული დამსახურებული აღიარებითაც შეხვდა. მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსს, გურამ თურქაძეს, მრავალწლიანი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს თეატრალური კავშირის საზოგადოებამ ამაგდარის წოდება მიანიჭა, რაც მასთან ერთად მთელი თერჯოლის შემოქმედებითი და სახელოვნებო კოლექტივების დამსახურებაა.

გილოცავთ, გილოცავთ, გილოცავთ!

მადლობა თერჯოლელ ექიმებს

ამ რუბრიკით ამჯერად ვაქვეყნებთ კოვიდპაციენტის, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისჯვრის მცხოვრების თედორე ილიადის წერილს. იგი მკურნალობას ახალი წლის წინა დღეებში გადიოდა „თერჯოლამედში“.

წერილს ვაქვეყნებთ სკანირებული ფორმით, სრული სახით.



ყფალო!
გადაარჩინე საქართველო
ძიეცი ძალა, ქოთქინება და ფსიხოლოგიური
გამჭიეობა ყველა ყველა საქმეიანი
ინფექციური, ჰიანიმაციური განყოფილებების
ექიმებს და ყველა მედ-პერსონალს.
მიგმართავ საქართველოს თავჩოხას
მეტი სიფაცხე ჩამიეხიც არ იცავენ ჯან-
დაცვის ჩვენმენდაიებს და აჯანიეებენ
ვირუსს. ია ტექმით დაიწყო ქოხე ეტაპის
შემოტევა ტოვი 19. საკანტყოფოები
გადაეტენილია. ჰიანიმაციური განყოფილებები
მუშაობენ დატვირთულ ყალოზე ჩოფულ ჩექიმები.
ნდეკემბრის მესამე კვირის შემდეგ ფაქტის 10ს.
ბიმიოეს თერჯოლის საქმეიანი ინფექციურ
ცენტრში ოჩიკე ფიეტვების ანალიზი და ანალიზ-
ების ყაბარესობით. იმ ოამესვე მომათავსეს
„ბოა კაბინეტში“ ნინო ცხადაძეს ანყოფილების
ფოფოხის ოუჩიატიური მითითებით კამეოეს
ტომოგრაფია და ყველა დაბოჩატოჩიული სიჩეები
ჩოოზე, პიჩკეიდი დახმარებანი.
ჩოეა გამოჩდა თავისუფალი ადგილი გადაქიყვ
ნეს გიგი კოტლაბაზიშვილის ჰიანიმაციურ
განყოფილებაში. ჩემი თავიდან დავინახე
და ვეჩ გაკვირვებული ჩა ჩოეი სიჩაოილეს.
მუშაობა ყველა ყფოჩეს ჩოეი ესიხოოგიური
დატვირთვით. ოუჩატიურად და ფრთხე ეკეთებენ
თავის საქმეს ექიმები და ბოეი ადგილი
ჩოგორ ცდილობენ ყოველ დავადებული გადარ-
ჩენას და მეყანერობას. დანაკარგიც ეჩრ.
გამოჯანთეოდა ყოფილა ვრეული ეჩოცესი.
ეჩოგესი სახეობა, გამოწვეული პაციენტები
მატყოდნენ 15დეკემბერი-25ე ყველ-7
პაციენტებს გამოწერეკენ და ბეც ბათ ეჩოეს.
ეს ეჩის პატივცემული გიგი ექიმის
დამსახურება. დღე და ღამე იმყოფება
განყოფილებაში. თავისი მკაცრი და ხანგრძლი
ბრძოლებით ბახოვს განყოფილებას
თავისი ოლიკებით და ბოეი ადგ-პერსონა
ლით ეკეთებენ ეჩთ საქმეს ძალიან პაციენტ-
ების გადარჩენას და მეყანერობას.
და ითწევენ ამ ბრძოლას.
ყოველი იყოს ყველას
ფარეველი
დიდი პატივცემით ბოეი
განყოფილების პერსონალის
დიდი მადლობა.
ბორჯომის ჩ-ნის სკიხისჯვრის
მაცხოვრებელი თედორე ილიადი
25122020 წ.

დიდი მადლობა ჩვენი გახარებისათვის!

ქვეყანაში ეპიდვითარების მიუხედავად, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები მაინც არ შეშინდნენ. მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი, ჩვენი დეპუტატი საკრებულოში, გიორგი ლილუაშვილი, ახალგაზრდა ბიჭები და ბევრი სხვა, სოციალურად დაუცველ პენსიონერ მოხუცებს, ყოველთვის, ყველა დღესასწაულზე არ ტოვებენ უყურადღებოდ. თავის ხელით გვირიგებენ საჩუქრებს შეძლებისდაგვარად. დიდი მადლობა ჩვენი გახარებისთვის, დიდხანს იცოცხლეთ და სიკეთე გაგეკეთებინოთ. დაესწარით ყველა დღესასწაულს. გილოცავთ ახალ 2021 წელს, შობას, ბედნიერებას, ჯანმრთელობას და წინსვლას, გისურვებთ თქვენს ოჯახებში ყველას.

პატივისცემით, თინა ფერაძე, ანა შანიძე, თამარ სირბილაძე

„უნდა ვიცოდეთ, რომ მხოლოდ სიტყვით, ღვთის სიყვარული არაფრის მომცემია თუ იგი საქმით მოყვასთან მიმართებაში არ ჰპოვებს მუდმივად გამოვლენას“...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის

საშობაო ეპისტოლე



„ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნო წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო:

„ღმერთნი სამე ხართ და შვილნი მაღლისანი“ (ფს. 81.6)

უფალმა ადამიანი შექმნა განღმრთობისათვის, ღვთაებრივ სიკეთეთა მიღებისა და ღვთის წინაშე მარადიული ნეტარი ცხოვრებისათვის. უფალი თავად არის სათავე, სისავსე და სისრულე სიმართლისა, სიწმინდისა, სიბრძნისა, ჭეშმარიტებისა, მოწყალებისა, სიხარულისა, თავმდაბლობისა, მშვიდობისა, წესრიგისა, კეთილდღეობისა, თავისუფლებისა. ამასთან, ეს თვისებები აუცილებლად სიყვარულთან და სიკეთესთან არის დაკავშირებული და ყოველივეს აღემატება.

ბუნებრივია, ადამიანიც ვერ მიემსგავსება უფალს, ღვთის რწმენის, მასთან ერთობის დიდი სურვილისა და ამ თვისებების გარეშე.

საზომისაებრ თვისისა საღვთო მადლთა მქონე იყვნენ ადამი და ევა დაცემამდე. ამიტომაც ჰქონდათ შემოქმედთან ერთობა და განღმრთობაში წარმატების დიდი შესაძლებლობა, თუმცა, ასევე ჰქონდათ სრული თავისუფლება პიროვნული არჩევანისა.

ადამმა და ევამ, გველის სახით ბოროტისაგან ცდუნებულებმა, უფლისგან მიცემული მცნება და მასთან ერთობა სწორედ თავისუფალი ნების არამართებული გამოყენებით დაარღვიეს და ბოროტი ძალისგან მოტყუებულნი, მისი გავლენის ქვეშ მოექცნენ. ამის გამო, ედემიდან განიდევნენ და სამოთხის გარეთ ცხოვრება დაიწყეს.

მიუხედავად ასეთი ურჩობისა და ღვთის ნებისგან განდგომისა, შემოქმედმა ისინი მაინც არ მიატოვა და დიდი სულგრძელებით იწყო ზრუნვა ცოდვით დაცემამდელ მდგომარეობაში კაცთა მოდგმის დაბრუნებისათვის. თაობიდან თაობამდე ღმერთი ისრაელიანებს ესაუბრებოდა მამათმთავრების, წინასწარმეტყველების და სხვა წმიდა ადამიანების მიერ, რომელთა პირითაც აუწყებდა და ახსენებდა აღთქმას მხნელის მოვლინების შესახებ, რომელიც ძე ღმერთის განკაცებით, ჯვარცმითა და აღდგომით აღსრულდა.

დიდება და მადლობა შენდა, უფალო, შენდამი მოლტოლვილთა ყოველთა მფარველო და შემწეო!

როგორ შეხვდა მას ეს ქვეყანა?

მართალი იოსები და მიდგომილი წმინდა მარიამი, რომლებიც წარმოშობით დავით მეფის შთამომავალნი იყვნენ, იუდეის კანონების მიხედვით, საყოველთაო აღწერისთვის ბეთლემში უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ისინი არავინ მიიღო თავის სახლში, ყველა კარი მათთვის დაკეტილი აღმოჩნდა და იძულებულნი გახდნენ, გარეუბანში მდებარე გამოქვაბულისთვის შეეფარებინათ თავი.

ამის შეტყობისას შეძრწუნდა მეფე ჰეროდე და მთელი იერუსალიმი მასთან ერთად (მთ.2.3). მან იმით შეშინებულმა, რომ იშვა მეუფე ჰურიათა, ანუ, მისი წარმოდგენით, ტახტის მოცილე, ბეთლემში და მის შემოგარენში თოთხმეტი ათასი ჩვილი მოაკვლევინა, რათა მათ შორის ისიც მოეკლათ, ვისი არსებობაც ასე აშფოთებდა.

განკაცებული ღვთისადმი მტრული განწყობა, როგორც ამას წმინდა სახარება გვაუწყებს, შემდგომში მკვეთრად გამოავლინეს ფარისევლებმა და სადუკეველებმა, ასევე სინედრიონის სხვა წევრებმა და მათგან გადაბირებულმა ხალხის ნაწილმა.

რა იყო ამის მიზეზი?

პირველ რიგში ის, რომ მაცხოვარი საერთოდ არ ჰგავდა ისეთ მეფეს, ისეთ მესიას, რომელსაც რჩეული ერი მოელოდა. ისინი რომის იმპერიის მონობისგან გათავისუფლებაზე ოცნებობდნენ, მოელოდნენ ისეთ პიროვნებას, რომელიც თავისი ძალითა და ძლიერებით მეფე დავით წინასწარმეტყველის და სოლომონ ბრძენის ხანაზე უკეთეს ყოფას მოუტანდა მათ, ყველას დასჯაბნიდა სასწაულებით და განადიდებდა ქვეყანას.

უფალი კი დაიბადა ბაგაში, ცხოველთა გვერდით, ცხოვრობდა ღარიბ ოჯახში, ნაზარეთში, რომელიც ქვეყნის ისეთ ნაწილს წარმოადგენდა, საიდანაც ერთი წინასწარმეტყველიც არ იყო გამოსული.

მისთვის მნიშვნელოვანი იყო არა მიწიერი ძალმოსილება, არამედ მოძიება ისეთი პიროვნებებისა, რომელთა სიწრფელეც და სიკეთეც დასძლევდა ამ სოფლის მბრძანებელთა სიბოროტესა და მზაკვრობას და მათდამი შიშს; რომელთა გონებაც აღივსებოდა ღვთის გასაოცარ ახალ საიდუმლოთა წვდომის უნარით, ხოლო სული კი უშურველად მიჰფენდა სიყვარულს მოყვარესაც და მტერსაც. ეძებდა ადამიანებს, რომლებიც იგრძნობდნენ მისი სწავლების სიდიადეს და ჭეშმარიტებას ჰპოვებდნენ მასში.

და რატომ დაიბადა იგი ამ დროს?

მრავალ მიზეზთაგან ერთ-ერთი ისიც არის, რომ რჩეულ ერში მაშინ ცხოვრობდა მარიამი, წმინდა ქალწული, უფლის დამტევნელი, გამართლება მამათავართა, მსაჯულთა, წინასწარმეტყველთა და ყოველთა მართალთა ღვაწლისა, ძველი აღთქმისა დიდება და მშვენება ახალი აღთქმისა, ევას და ყოველთა ჭეშმარიტ მონანულთა ცრემლის აღმხოცი და განცხადება იაკობის სიზმარში დედამიწიდან ზეცამდე აღმყვანებელი კიბისა. უფალი იშვა მაშინ, როდესაც ებრაელთა შორის იყვნენ სულიერად გამორჩეული ადამიანები: იოანე ნათლისმცემელი, თორმეტი მოციქული, სამოცდაათი მოწაფე, ლაზარე, მართა და მარიამი, ნიკოდიმოსი, იოსებ არიმათიელი და სხვანი, სამი ათასი და შემდეგ ხუთი ათასი ებრაელი, ერთ დღეს რომ მოინათლნენ...

ღვთის შეწევნით, ამქვეყნად მათ სხვა სივრცე შექმნეს, სხვა წესით ცხოვრება შემოგვთავაზეს და სულ სხვა სამეფოს ჩაუყარეს საფუძველი, რომლისკენაც მთელ დედამიწას მოუხმეს.

დიდება და მადლობა შენდა უფალო ძალთაო, ყოვლისა მპყრობელო, დიდება და მადლობა თქვენდა, ყოველნო წმინდანო ღვთისანნო!

შობა უფლისა გასაოცარი სიხარულის მომტანია, რომელსაც სიყვარულით, მადლიერებით და პასუხისმგებლობით უნდა შევხვდეთ.

უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ მხოლოდ სიტყვით ღვთის სიყვარული არაფრის მომცემია, თუ იგი საქმით, მოყვასთან მიმართებაში, არ ჰპოვებს მუდმივად გამოვლენას. მოყვასის სიყვარულიც აზრს კარგავს და ამპარტავნების მიზეზად იქცევა მათთვის, ვისაც თავისი ქველმოქმედებით საკუთარი პიროვნების წარმოჩენა სურს და სიკეთეს ღვთისა და მოყვასის უანგარო სიყვარულით არ აღასრულებს.

შეიძლება კარგი ექიმი იყო, ან ინჟინერი, მიწის მუშაკი, მომსახურე პერსონალი, ან მეცნიერების ნებისმიერ დარგში გქონდეს დიდი წარმატება, იყო ხელოვნების ამა თუ იმ სფეროს ცნობილი წარმომადგენელი, სპორტსმენი, ექიმი, იურისტი, მასწავლებელი, სტუდენტი, თუნდაც სასულიერო პირი, მაგრამ თუ შენს საქმიანობასთან ერთად არ გაქვს თვალი უფლისკენ მხედველი და არ ზრუნავ შინაგანი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, იქნები ცარიელი ჭურჭელი, ღვთის სისავსის მიღმა მყოფი.

როგორც ეკლესიის მამები გვაფრთხილებენ: არ უნდა დაგვაბრმავოს არაფერმა, მითუმეტეს ჩვენმა ამქვეყნიურმა წარმატებამ, - ჩვენი გონების, ნების, შემოქმედების უნარმა. ყური უნდა მივაპყროთ ჩვენს იდუმალ „გულის კაცს“ (სინდისს) (1პეტრე 3,4), გავეცნოთ წმინდა წერილს, მამათა სწავლებას და საკუთარ სულში მოვიძიოთ ის, რაც ღვთისაა, რომელიც არის ჩვენი რეალური „მე“. თუ ამას შევძლებთ, ყველა ის სიკეთეც, რასაც ცხოვრებაში მივაღწიეთ, გახდება ჩვენი სულიერი წარმატების თანაზიარი და ჩვენი განმღრთობის ხელშემწყობი.

ამის გარეშე კი ჩვენში ის წარმართული სამყარო იბატონებს, ისრაელის შთანთქმას რომ ცდილობდა, გარეგნული დიდება ჰქონდა, მაგრამ სულიერად გამოფიტული იყო.

„ღმერთი სულია და მისდამი თაყვანისმცემელთ სულთა და ჭეშმარიტებით მართებთ თაყვანისცემა“ (იოანე 4, 24) - ბრძანებს სახარება.

ეს არის უმთავრესი, - საკუთარ თავში განწმენდა საღვთო ხატებისა და მიმსგავსება ღვთისა.

დღეს, სამწუხაროდ, ჩვენთანაც და მთელ მსოფლიოშიც ბაბილონსა და ნინევიას ემსგავსება ცხოვრება. წახალისება ხდება თავშეუკავებლობის, გარყვნილების, ცილისწამების, სიცრუის, ავსიტყვაობის, უზნეობის, მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფის, ათეიზმის, ხოლო ამის მოქმედთა მიმდევრობა მისაბაძ საქმედ ითვლება.

ვიდრე ჩვენ ვიცხოვრებთ შურით, სიძულვილით, შიშითა და განკითხვის სულით და ვეძიებთ მხოლოდ მას, რაც ჩვენს მიწიერ „მეს“ ესიამოვნება, უძლურნი ვიქნებით გავხდეთ ზეცის მოქალაქე, თუმცა ღმერთისათვის ყველაფერი შესაძლებელია და იონას მიერ მოხდენილი სასწაული ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაშიც შეიძლება აღსრულდეს.

ვაღებთ რა ახალი წლის კარს, ჩვენს წინაშეა დრო უცნობი და ჯერაც ხელშეუხებელი. როგორი ადვილია ახალი ცხოვრების დაწყება! მთავარია, გვქონდეს სინანული და ვისწავლოთ მადლიერება უფლისადმი, მადლიერება სიცოცხლის მონიჭებისათვის, მადლიერება სიხარულისა და განსაცდელისათვის, ბედნიერებისა და ტკივილისათვის, ჯანმრთელობისა და უძლურებისათვის, რადგან თუ სულიერად განვჭვრეტთ, ყველაფერი ეს მხოლოდ ჩვენი სიკეთისთვის მოგვეცა.

ასე რომ, ღმერთი სხვადასხვა გზით ჩვენც გვწვრთვნის და საუფლო დიდებისთვის გვამზადებს, ამიტომაც ყველაფრისთვის უნდა ვმადლობდეთ მას.

ის პრობლემებიც, რაც პანდემიამ დღევანდელ მსოფლიოს მოუტანა, ღვთის დაშვებით მოხდა. ვირუსის უცნაურმა ბუნებამ აიძულა ადამიანები გარკვეულ რეგულაციებს დამორჩილებოდნენ. ეს აუცილებელია, მაგრამ აუცილებელია თითოეული ჩვენგანის ღმერთთან მეტი სიახლოვეც, რადგან არავინ იცის, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე. წმინდა წერილი შეგვაგონებს: „შვილო, შენს სნეულებაზე თვალს ნუ დახუჭავ, არამედ შეევედრე უფალს და განგკურნავს. განაგდე ცთუნება და გაისწორე ხელი და გული განიწმინდე ყოველგვარი ცოდვისგან” (სიბრ. ზირ. 38,9-10). ასე რომ, ზომიერება გვმართებს, ექიმთა რჩევასაც უნდა დავუგდოთ ყური, მაგრამ უმთავრესი ღვთის მცნებების დაცვა და მის წინაშე სათნო ცხოვრებაა.

ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, უკრაინელნო, რუსნო, სომეხნო, ებრაელნო, აზერბაიჯანელნო, უდინნო, იეზიდნო, ქურთნო, ინგუშნო, ქისტნო, ჩერქეზნო, ჩეჩენნო, ლეკნო - ყოველნო მკვიდრნო საქართველოისა და ჩვენს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენნო, მიაპყარით თვალი ბეთლემის ვარსკვლავს, დაე, მისმა ბრწყინვალებამ ჩვენი სულიც აღავსოს საღვთო მადლით და ვიქცეთ ანკარა წყაროდ იმ სივრცეში, რომლის გავლაც გვიწევს მიწიერი ჩვენი ცხოვრების პერიოდში.

ყოველწმინდა ღვთისმშობელს, მოციქულებს, ყოველთა წმიდანთა ქრისტეს ეკლესიისა ვავედრებ ჩვენს ქვეყანას, ვავედრებ მსოფლიოს, რომ შევძლოთ დღევანდელ გამოწვევათა დაძლევა და, რაც მთავარია, საუფლო გზის ერთგულება.

„ხმითა სიხარულისაითა დავით წინასწარმეტყველი ღაღადებს დღეს... ბეთლემი დღესასწაულობს, სიონი განსცხრების და ქვეყანაი იშვების შობასა შენსა ქრისტე“.

განვიხაროთ ჩვენც და შევძლოთ, ჩვენი ცხოვრებით ვადიდებდეთ მამასა და ძესა და წმინდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

სიყვარულით თქვენთვის
მლოცველი,
ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
7 იანვარი, 2021 წელი

წინასაახალწლო და ახალი წლის დღეებში

ბეჯითობა დაუფასდათ

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია და მუნიციპალიტეტის საკრებულო, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, მრავალ ღონისძიებას ახორციელებს, მათ შორისაა წარჩინებულ კურსდამთავრებულთა—ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა ფულადი პრიზით დაჯილდოება, რომლის მიზანია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების წახალისება და წარმატებულ მოსწავლეთა წარმოჩენა.

წინასაახალწლოდ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა 2019-2020 სასწავლო წლის წარჩინებული კურსდამთავრებულები ფულადი პრიზითა და ბიბლუსის სასაჩუქრე წიგნებით დააჯილდოვა.

„ახალგაზრდებზე და მათ განათლებაზე ზრუნვა ჩვენი გუნდის უმთავრესი პრიორიტეტია. მიხარია და მეამაყება თითოეული თქვენგანის წარმატება და სწავლისადმი მოტივაცია. იყო მედალოსანი, ეს დიდ შრომასა და მონდომებას მოითხოვს.

ღრმად ვარ დარწმუნებული, , რომ ასეთ ნიჭიერ ახალგაზრდობას დიდი მომავალი აქვს და ვიმედოვნებ სამომავლოდ, თქვენს ცოდნასა და გამოცდილებას ჩვენი რაიონისა და ქვეყნის განვითარებას მოახმართ. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო პედაგოგებს, საგანმანათლებლო საქმიანობაში გაწეული შრომისთვის და დამდეგი შობა-ახალი წელი მოგილოცოთ!“ — განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა.

მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინფორმაციით, მუნიციპალიტეტს ჰყავს საჯარო და კერძო სკოლების კურსდამთავრებული 92 მედალოსანი. მათ შორის 73 ოქროს, ხოლო 19 ვერცხლის მედალის მფლობელია.

დაჯილდოების ცერემონია, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზში გაიმართა. მუნიციპალიტეტის მერთან ერთად, ღონისძიებას მერის მოადგილე, მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე, ნინო რობაქიძე და სხვა მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

წინ „თერჯოლა“!

ქალაქ თბილისის მერიისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით ქალთა შორის მასტერ ლიგის ფინალური შეჯიბრი დასრულდა, რომელიც მიზნად ფეხბურთის პოპულარიზაციის ხელშეწყობასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას ისახას.

გოგონათა გუნდებს შორის ფინალურ დაპირისპირებაში აღმოსავლეთ კონფერენციის გამარჯვებული ხაშურის „ივერია“ და დასავლეთის კონფერენციის ჩემპიონი „თერჯოლა“ შეხვდა. ფინალურ ასპარეზში თერჯოლის ქალთა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა. შეგახსენებთ, რომ თერჯოლის გუნდი ქალთა მასტერ ლიგის დასავლეთის კონფერენციის გამარჯვებულია. მეორეადგილოსანმა „თერჯოლამ“ ფინალამდე ქობულეთის „კვესოს ლომებს“ 4:0 მოუგო , ბათუმის „დინამო“ 2:0 დაამარცხა და „ჩხოროწყუს“ პენალტების სერიაში 6:5 აჯობა.

პროექტის ფინალურ ეტაპსა და გალა დაჯილდოებას, საგარეჯოს რაიონის, სოფელ კაჭრეთში მდებარე, სასტუმრო „ამბასადორმა“ უმასპინძლა, სადაც თბილისის მასტერ ლიგის, ჩელენჯ ლიგისა და საქართველოს Master Cup-ის საუკეთესო ფეხბურთელები და მენეჯერები გამოვლინდა.

აღსანიშნავია, რომ ტურნირის აღმოჩენად თერჯოლის გოგონათა გუნდის წევრი, ლიზი დვალი დასახელდა. ტურნირში გოგონების 60-მდე გუნდი დარეგისტრირდა. გამარჯვებულ გუნდს ფულადი ჯილდო 2500 ლარის ოდენობით გადაეცა. მეორე ადგილოსანს - 1500 ლარი, ხოლო მესამეადგილოსანს 1000 ლარი.

„მადლობა ჩემო შვილებო“

„ახალი წელი დგება და ძალიან გახარებულები ვართ მთელი ოჯახი. წლების განმავლობაში ვერ ჩავდიოდით ღვანკითში, სადაც უამინდობამ სახლი დაგვიზიანა. იმის გამო, რომ სოციალურად ძალიან გაგვიჭირდა, მივმართე თერჯოლის მერიას, მერს ლაშა გოგიაშვილს, ასევე მამუკა მდინარაძეს და დახმარება ვთხოვე. დღეს უკვე ჩემი სახლი, სადაც მე, ჩემი შვილი და მეუღლე წლები ვერ ჩავდიოდით, ჩავალთ და ახალ წელს შევხვდებით. ჩემო შვილებო, მამუკა და ლაშა, უდიდეს მადლობას გეუბნებით, გაჭირვების ჟამს რომ მომეცით საშუალება, ჩავიდეთ საკუთარ სახლში. ჯანმრთელობამ ძალიან დაგვამძიმა, ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა, რომ დღეს ჩემს შვილს გაუჩინეთ იმედი, რომ ის თერჯოლას, ღვანკითს არ მოშორდება და მის წარმატებას დაუკავშირებს ამ მშვენიერ რაიონს“.

სარდანაძეების ოჯახი, სოფ. ღვანკითი

ბარბარობის საჩუქარი...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ლაშა გოგიაშვილის ინიციატივით, ბარბარობის დღესასწაულისათვის 400 ოჯახს სურსათი გადაეცა

70 წელს გადაცილებულ მარტოხელა მოხუცებს, ობოლ ბავშვებს, მარტოხელა დედებს, სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს და სხვა საჭიროების მქონე პირებს სასურსათო პაკეტები ოჯახებში მიუტანეს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა.

ლაშა გოგიაშვილმა მერიის ერთ-ერთი სოციალური პროგრამის ბენეფიციარებს, მარტოხელა დედებს პირადად გადასცა სასურსათო ნობათი და ბარბარობის დღესასწაული მიულოცა.

საკვები პროდუქტები საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს

საახალწლოდ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში აღსაზრდელებისთვის განხორციელდა საკვები პროდუქტის მორიგი დარიგება.

საბავშვო ბაღებში საკვები პროდუქტების გაცემა ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების დაცვით ხორციელდება.

მიმდინარე პროცესს მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი ადგილზე გაეცნო.

აღსაზრდელების მშობლებს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის პერიოდში გათვალისწინებული პირველადი მოხმარების კვების პროდუქტები გადაეცათ. სასურსათო პაკეტში 10 სხვადასხვა სახის პროდუქტია გათვალისწინებული, მათ შორის რძე, კარაქი, მაწონი, შაქარი, კარტოფილი, კვერცხი, ბრინჯი, ორცხობილა.

გარდა ამისა, პატარებმა საახალწლოდ ტკბილეულიც მიიღეს.

აღსანიშნავია, რომ გართულებული ეპიდსიტუაციის გამო, საბავშვო ბაგა-ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი დროებით შეჩერებულია, თუმცა კუთვნილი სასურსათო პაკეტი და საახალწლო ტკბილეული ეტაპობრივად თერჯოლის მუნიციპალიტეტის 26-ვე საბავშვო ბაღის აღსაზრდელი მიიღებს. მესამე ეტაპზე საერთო ჯამში სულ 1130 აღსაზრდელზე 73619,5 ლარი გაიხარჯა.

მუნიციპალიტეტის მერმა ბაღის პედაგოგებს, მშობლებსა და აღსაზრდელებს ახალი წელი მიულოცა და ჯანმრთელობა უსურვა.

ახალთერჯოლელებს სასმელი წყალი ექნებათ...

ჩვენ ადრე ვწერდით, რომ ახალთერჯოლის 500-მდე ოჯახის სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად წყლის სისტემა მოეწყობა. უკვე ჩატარდა შესაბამისი ტენდერი და ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ შპს „მშენგრუპმა“ ტერიტორიის გეოდეზიური კვლევა და წყლის დებეტის მოსაძიებელი სამუშაოებიც დაიწყო.

პროექტი ითვალისწინებს წყლის მიმწოდებელი მაგისტრალის, გამანაწილებელი ქსელის, რეზერვუარის, საქლორატორო ნაგებობის, აღრიცხვის კვანძებისა და სხვა საჭირო ნაგებობების მოწყობას.

აღნიშნული პროექტი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ლაშა გოგიაშვილის ინიციატივითა და ჩართულობით ხორციელდება.

„ჩატარებულმა სამუშაოებმა ცხადყო, რომ წყლის დებეტი საკმარისია. ახალთერჯოლელებისათვის ეს იქნება საუკუნის პროექტი, რადგან წყლის პრობლემა ძალიან აწუხებს ადგილობრივებს. ზოგადად, ეს საკითხი ბევრ სოფელშია აქტუალური, განსაკუთრებით ზაფხულში. ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურად მუშაობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის წყალმომარაგების პრობლემის გადასაჭრელად“,—აღნიშნა ლაშა გოგიაშვილმა.

ხუჯაძეები-ჩუბინიძეების უბნის გზა

რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტი ხუჯაძეები-ჩუნიბიძეების უბნის ცენტრალურ გზასთან დამაკავშირებელი გზის მოწყობა სრული დატვირთვით მიმდინარეობს.

გარდამავალი პროექტი არმირებული ბეტონის საფარით, სანიაღვრე არხებით და 50 მ. სიგრძის საყრდენი კედლით გზის 1, 8 კმ-იანი მონაკვეთის მოწყობას ითვალისწინებს.

ლაშა გოგიაშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად მიმდინარე სამუშაოებსა და პროექტის შესახებ დეტალურ ინფორმაციას გაეცნო.

„ეს გზა, რომელიც სოფლის მჭიდროდ დასახლებულ უბანს ცენტრალურ გზასთან აკავშირებს, იყო ამორტიზებული, რის გამოც გაძნელებული იყო გადაადგილება და მის რეაბილიტაციას ითხოვდა ადგილობრივი მოსახლეობა. მოსახლეობის მოთხოვნის გათვალისწინება კი ჩვენთვის, ადგილობრივი ხელისუფლებისათვის, მნიშვნელოვანია.

კონტრაქტორი კომპანიის მიერ მიმდინარეობს მომავალი წლის ვალდებულების წინსწრებით შესრულება, ასე რომ გზით სარგებლობას ადგილობრივები მალე შეძლებენ. ეტაპობრივად, მთელ მუნიციპალიტეტში მოწესრიგდება საგზაო ინფრასტრუქტურა,“-განაცხადა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა.

გაზიფიცირების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

თერჯოლის მუნიციპალიტეტში ბუნებრივი აირის გარეშე დარჩენილ ბოლო სოფელში, ძევრის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. სეფარეთში გაზიფიცირების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგიაშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო მიმდინარე სამუშაოებს, რომელსაც გაზის ტრანსპორტირების კომპანიის დაკვეთით შპს „თელა+“ ასრულებს.

„სეფარეთი იყო თერჯოლის მუნიციპალიტეტში გაზიფიცირების გარეშე დარჩენილი ბოლო სოფელი. ამჟამად მიმდინარეობს გაზსადენი მაგისტრალისა და შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგაც მოხდება ინდივიდუალური გამრიცხველიანება. სოფელში რეგისტრირებული 50-მდე ოჯახი მიიღებს ბუნებრივ აირს და მუნიციპალიტეტი სრულად იქნება გაზიფიცირებული“—განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა.

წინასაახალწლო და ახალი წლის დღეებში

რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, თერჯოლაში გოფანმთის ეკლესიისაკენ მიმავალი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. მან მშენებელი კომპანიის წარმომადგენლებისაგან პროექტის მიმდინარეობის, ვადებისა და ხარისხის დაცვის შესახებ მიიღო ინფორმაცია.

„ამ გზის რეაბილიტაციას, რომელიც იყო ამორტიზებული და ვიწრო, ითხოვდა ადგილობრივი მოსახლეობა. პროექტის ფარგლებში, გზის გაფართოებისა და მეწყრული პროცესების შეჩერების მიზნით, ხუთი საყრდენი კედელი მოეწყო. საერთო ჯამში 2-კილომეტრიან მონაკვეთზე დაიგება არმირებული ბეტონის საფარი“, —განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა.

აღნიშნული გარდამავალი პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან 650 000 ლარით ფინანსდება. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „მეკა“ ასრულებს.

ლაშა გოგიაშვილმა, ასევე ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგის ფარგლებში, ვაჟა-ფშაველას მეოთხე ჩიხში მოწყობილი გზა დაათვალიერა. აღნიშნულ ჩიხში რგფ-დან გამოყოფილი თანხით დაიგო ბეტონის საფარი, ასევე მოწესრიგდა საკანალიზაციო სისტემა.

სულ, თერჯოლის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან საერთო ჯამში 12 კმ. ასფალტო-ბეტონისა და ბეტონის გზა დაიგო, რისთვისაც 3 მლნ. ლარზე მეტი დაიხარჯა.

საცხოვრებელი სახლები საჩუქრად...

თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი სამი ოჯახის სახლების მშენებლობისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 100 ათასი ლარი დაიხარჯა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგიაშვილი გოგნში, ქვედა სიმონეთსა და ჩხარში იმყოფებოდა, სადაც ადგილობრივი ხელმძღვანელობის წარმომადგენლებთან ერთად მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროცესები დათვალიერა, მშენებლებისაგან ვადებისა და ხარისხის დაცვის შესახებ მიიღო ინფორმაცია. მუნიციპალიტეტის პირველი პირი ოჯახის წევრებს ესაუბრა, მოისმინა მათი ყოფითი პრობლემები და მომავალშიც გვერდით დგომის პირობა მისცა, მათ შორის, პროფესიის გათვალისწინებით, დასაქმებას დაპირდა. თავის მხრივ, ახალი სახლების მეპატრონეებმა დიდი მადლობა გადაუხადეს ლაშა გოგიაშვილსა და ხელისუფლებას მათი პრობლემების მოგვარებისათვის. „გასულ წელს ორი, მიმდინარე წელს კი სამი სახლი მუნიციპალიტეტში მოქმედი „სახლდაზიანების პროგრამის" ფარგლებში აშენდა. გოგნში უკვე დასრულდა, ხოლო ქვედა სიმონეთსა და ჩხარში უახლოეს მომავალში დასრულდება. ეს ოჯახები, სადაც მცირეწლოვანი ბავშვები და ხანდაზმულებიც არიან, ცხოვრობდნენ ამორტიზებულ სახლებში, რომლებიც შეკეთებას არ ექვემდებარებოდა“,—აღნიშნა ლაშა გოგიაშვილმა. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ლაშა გოგიაშვილის გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტში მოქმედი „სახლდაზიანების პროგრამისათვის" განკუთვნილი თანხა მომავალ წელს გაიზრდება და უფრო მეტი სოციალურად დაუცველი ოჯახი იზეიმებს ახალმოსახლეობას ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით.

თუზის ადმინისტრაციულ ერთეულში

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა გოგიაშვილმა, ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგის ფარგლებში, მიმდინარე სამუშაოები თუზის ადმინისტრაციულ ერთეულში დაათვალიერა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგიაშვილი თუზში მიმდინარე გზის მოწყობის სამუშაოებს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო, ასევე პროექტის მიმდინარეობის შესახებ მშენებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებისაგან დეტალური ინფორმაცია მიიღო.

თუზის ყოვლადწმინდა სამების ტაძრისკენ მიმავალი გზის მოწყობა რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით ტენდერში გამარჯვებული კომპანიის შპს „მეკას“ მიერ მიმდინარეობს. პროექტი, რომლის ღირებულებაა 647 ათასი ლარი, გარდამავალია, მომავალ წელს დასრულდება და საერთო ჯამში 1,9 კმ გზა მოეწყობა არმირებული ბეტონის საფარით, გვერდულებითა და სანიაღვრე არხებით.

„გზის ამ მონაკვეთზე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ხორციელდება პირველად, მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე. ჩვენთვის, ადგილობრივი ხელისუფლებისათვის მნიშვნელოვანია სწორედ იმ პროექტების განხორციელება, რაც მოსახლეობისთვისაა პრიორიტეტული და საჭირო. მიმდინარე წელს მხოლოდ რეგიონული განვითარების ფონდიდან 7 მსხვილმასშტაბიანი საგზაო პროექტი განხორციელდა და საერთო ჯამში 12 კმ. ასფალტო-ბეტონისა და ბეტონის გზა დაიგო, რისთვისაც 3 მლნ. ლარი დაიხარჯა. მომავალ წელს უფრო მეტია დაგეგმილი, საგზაო ინფრასტრუქტურა მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით უნდა იყოს მოწესრიგებული,“— აღნიშნა ლაშა გოგიაშვილმა.

მშვიდობაში სკანდელებო, ალისუბნელებო...

უკეთეს საახალწლო საჩუქარს ამ სოფლის მცხოვრებნი (და არამარტო) ვერც ინატრებდნენ: დასრულდა ბეტონის გზის დარჩენილი მონაკვეთის მშენებლობა, რომელმაც სკანდე და ზედა ალისუბანი კეთილმოწყობილი გზით დააკავშირა ერთმანეთს. სასიხარულო მით უფროა, რომ პროექტი გარდამავალი იყო და მისი დასრულება 2021 წლისთვის იყო გათვალისწინებული.

ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით სადღეისოდ საქმე მოგვარებულია და რაიონში ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ტურიზმის ობიექტის, ისტორიული სკანდის ციხის მონახულების მსურველთ შეუძლიათ იქ შეუფერხებლად მოხვდნენ. არაფერს ვამბობ იმ მგზავრებზე, რომელთაც ყოველდღე თუ არა დღეგამოშვებით მაინც უწევთ ამ გზით სიარული.

აღნიშვნის ღირსია გზის მშენებლების (შ.პ.ს. „მეკა“, დამფუძნებელი და დირექტორი კ.კვატაია) პროფესიონალიზმი, შემართებული საქმიანობა, რომლებმაც 600 მეტრიან, მეტად რთულ რელიეფზე (ქანები აქ მცოცავია) შეძლეს ბეტონის საფარის საიმედოდ დაგება; ესენია: ადგილზე პროექტის ხელმძღვანელი კობა კვატაია, მშენებლები: გიორგი არაბიძე, გიორგი ქასრაშვილი, ნიკოლოზ ჭანტურიძე, გაგა აბულაძე, თამაზ ურიადმყოფელი, შოთა ბასილაძე.

ფეხბედნიერი ყოფილიყოს ახალი გზა;

მშვიდობაში სკანდელებო, ალისუბნელებო...

წინაპართა მიერ განვლილი გზით

სამი წელია თერჯოლაში გამართულ ღვინის ფესტივალის ღონისძიებაზე, სახელდახელოდ გამოყოფილ სიქთარვის კუთხეს ამშვენებს, სილამაზეს და ელფერს ჰმატებს ლიონი მემანიშვილის ხის საწნახელი, რომელიც ფესტივალისათვის მზადების დროს ოთხ კაცს კი ჩამოჰქონდა მანქანიდან, მაგრამ წაღება ჭირდა, რადგან ფესტივალის დამთავრების შემდეგ ოთხი ფხიზელი სიქთარველი სადღა იყო.

საწნახლის უძველესი რაობა

ყურძნის დაჭყლეტისათვის განკუთვნილ ადგილსა და მოწყობილობის შესახებ „უძველესი ცნობები ბიბლიაში გვხვდება. „დაბადებაში“ რამდენიმე ადგილზეა ნახსენები „სასაწნახლე“ და „საწნახელი“. „ჩემს ბაღში დავნერგე ვენახი, აღვაშენე გოდოლი საშუალო მისსა და წინ სასაწნახლე მოვთხარე, მას შინა“ (ესაია 5.2.) ვისრამიანში კი ომის სიმკაცრის დამახასიათებელ შედარებაში არის გამოყენებული. „შუბები შამფურსა ჰგავდა, მწუადისა ნაცვლად კაცი ეგის და მიწა სისხლისა მდინარებით საწნახელსაო“.

***

უძველესი ქართველები ყურძენს მარანში წურავდნენ. მარანი ფიცრული იყო, ხის მარანში ხისვე საწნახელი ჰქონდათ, რომელიც ცაცხვის ან წაბლის მთლიანი ხისგან გაკეთებულ „ნავს“ წარმოადგენდა. საწნახელი მზადდებოდა ქვიტკირისაგანაც, ერთგვარ აუზს წარმოადგენდა. მისი სიგრძე მარნის კედლის სიგრძეს უდრიდა, თითო მეტრის სიმაღლე და სიგანე ჰქონდა. ერთი მხრით საწნახლის ფსკერი დაქანებული იყო და სულ ბოლოში დაწურული წვენის გამოსასვლელი ღარი ჰქონდა გაკეთებული. არსებობს ცნობები იმის შესახებაც, რომ ერთ ადამიანს დღის განმავლობაში 10 გოდორი ყურძნის ჭყლეტა შეეძლო, ერთი გოდორი ყურძენი 3 ფუთი იყო.

ბატონ ლიონის ხის საწნახელი

უყვართ ლიონი საბიძაშვილოში, განსაკუთრებით პატარა ბიჭებს, რომელთაც სიამოვნებთ მასთან საუბარი, ხშირად ეკითხებიან რამე ხომ არ გჭირდებათო. წელსაც შესთავაზეს ყურძნის დაწურვა, მაგრამ მადლიერებითა და სიყვარულით უკან გაისტუმრა, შვილები და შვილიშვილები ჩამოვლენ დაწურულს არ დავახვედრებო. ამ დროს მამას და ბაბუას სხვა მიზანი აქვს—შეიყვარონ შვილებმა და შვილიშვილებმა სოფელი, თუ დაწურული დახვდებათ, სხვა დროს აღარ ჩამოვლენო. დიდია ლიონის მიერ ხელით, ერთიანი ხის მასალით დამზადებული საწნახელისადმი ინტერესი, ამ „ნავში“ ჩადგომა და ყურძნის წურვა-ჭყლეტა დიდი სიამოვნებაა—ო ამბობენ.

***

ლიონის სოფლის სიყვარული, მიუხედავად იმისა, რომ თბილისშიც დიდხანს ცხოვრობდა, ბავშვობიდან და წინაპართაგან მოსდევს. შალვა, დათა, ალექსი მემანიშვილები მეურნეობას მისდევდნენ, შრომობდნენ, მოჰყავდათ თითქმის ყველა დასახელების პროდუქტები და არასოდეს ელეოდათ პური და მარილი, შესაბამისად სტუმარი. ახსოვს ლიონის მამა-პაპის დროინდელი მარანიც და ხის საწნახელიც, უამრავი ჭური, სხვადასხვა ზომის და ერთ-ერთი 160 ვედროიანი, რომელსაც „ჩასასვლელს“ უძახდნენ, რადგან ისე ვერ გაირეცხებოდა, ადამიანი თუ არ ჩავიდოდა.

***

შვიდწლიანი განათლება სიქთარვაში მიიღო, საშუალო თერჯოლაში. მოიხადა სამხედრო-სავალდებულო სამსახური, სხვადასხვა წლებში მუშაობდა ქ. თბილისში, სამგზავრო ავტობუსისა და ტაქსის მძღოლად, კარგად მოეწყო, მაგრამ მაინც სოფლისკენ გამოუწია გულმა, ოჯახი შექმნა, ღვინის კომბინატის ბუღალტერ დარეჯან გაბრიჭიძეს დაუკავშირა ბედი, თვითონ თერჯოლის ავტოსატრანსპორტო საწარმოში მუშაობდა და ავტორიტეტით სარგებლობდა თანამშრომელთა შორის, 2004-12 წლებში კიდევ ერთხელ მოუწია თბილისში სამუშაოდ წასვლა, ამასობაში ასაკიც მოეძალა და საბოლოოდ დამკვიდრდა სიქთარვაში, ეს არის პერიოდი, როცა შვილებს ლევანს და ვახტანგს დამოუკიდებლად შეეძლოთ ცხოვრება, სოფელს კი აღორძინება. ახლა ლიონის უფროსი შვილი ლევანი სამხედრო სამსახურში მუშაობს, უმცროსი ვახტანგი „გოლდსერვისის“ დირექტორია. ოთხი შვილიშვილი: თორნიკე, მათე, გაბრიელი, მართა დარეჯანისა და ლიონის სიამაყეა. შვილები, თავიანთი ოჯახებით თბილისში ცხოვრობენ, მაგრამ მუდმივი კავშირი აქვთ სოფელთან. უყვართ და ხშირად ჩამოდიან, სადაც უნდა ყოფილიყო ლიონი სოფელი



და მშობლიური კერა ☞9

2021 წელი

იანვარი

ორ.		4	11	18	25
სამ.		5	12	19	26
ოთხ.		6	13	20	27
ხუთ.		7	14	21	28
პარ.	1	8	15	22	29
შაბ.	2	9	16	23	30
კვ.	3	10	17	24	31

თებერვალი

ორ.	1	8	15	22
სამ.	2	9	16	23
ოთხ.	3	10	17	24
ხუთ.	4	11	18	25
პარ.	5	12	19	26
შაბ.	6	13	20	27
კვ.	7	14	21	28

მარტი

ორ.	1	8	15	22	29
სამ.	2	9	16	23	30
ოთხ.	3	10	17	24	31
ხუთ.	4	11	18	25	
პარ.	5	12	19	26	
შაბ.	6	13	20	27	
კვ.	7	14	21	28	

აპრილი

ორ.		5	12	19	26
სამ.		6	13	20	27
ოთხ.		7	14	21	28
ხუთ.	1	8	15	22	29
პარ.	2	9	16	23	30
შაბ.	3	10	17	24	
კვ.	4	11	18	25	

მაისი

ორ.		3	10	17	24	31
სამ.		4	11	18	25	
ოთხ.		5	12	19	26	
ხუთ.		6	13	20	27	
პარ.		7	14	21	28	
შაბ.	1	8	15	22	29	
კვ.	2	9	16	23	30	

ივნისი

ორ.		7	14	21	28
სამ.	1	8	15	22	29
ოთხ.	2	9	16	23	30
ხუთ.	3	10	17	24	
პარ.	4	11	18	25	
შაბ.	5	12	19	26	
კვ.	6	13	20	27	

ივლისი

ორ.		5	12	19	26
სამ.		6	13	20	27
ოთხ.		7	14	21	28
ხუთ.	1	8	15	22	29
პარ.	2	9	16	23	30
შაბ.	3	10	17	24	31
კვ.	4	11	18	25	

აგვისტო

ორ.		2	9	16	23	30
სამ.		3	10	17	24	31
ოთხ.		4	11	18	25	
ხუთ.		5	12	19	26	
პარ.		6	13	20	27	
შაბ.		7	14	21	28	
კვ.	1	8	15	22	29	

სექტემბერი

ორ.		6	13	20	27
სამ.		7	14	21	28
ოთხ.	1	8	15	22	29
ხუთ.	2	9	16	23	30
პარ.	3	10	17	24	
შაბ.	4	11	18	25	
კვ.	5	12	19	26	

ოქტომბერი

ორ.		4	11	18	25
სამ.		5	12	19	26
ოთხ.		6	13	20	27
ხუთ.		7	14	21	28
პარ.	1	8	15	22	29
შაბ.	2	9	16	23	30
კვ.	3	10	17	24	31

ნოემბერი

ორ.	1	8	15	22	29
სამ.	2	9	16	23	30
ოთხ.	3	10	17	24	
ხუთ.	4	11	18	25	
პარ.	5	12	19	26	
შაბ.	6	13	20	27	
კვ.	7	14	21	28	

დეკემბერი

ორ.		6	13	20	27
სამ.		7	14	21	28
ოთხ.	1	8	15	22	29
ხუთ.	2	9	16	23	30
პარ.	3	10	17	24	31
შაბ.	4	11	18	25	
კვ.	5	12	19	26	

აკურთხე გვირგვინი წელიწადისა სიტკბოებითა შენითა, უფალო...

საუფლო დღესასწაულები

7.01–შობა უფლისა
19.01–ნათლისღება. წყლის კურთხევა
15.02–მირქმა
7.04–ხარება
25.04–ბზობა-ბაიაობა (მოძრავი)
2.05-აღდგომა
10.06–ამაღლება (მოძრავი)
20.06–სულთმოფენობა (მოძრავი)
19.08–ფერისცვალება
28.08–მარიამობაე
21.09–ღვთისმშობლობა
27.09–ჯვართამაღლება
4.12–ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება

დღესასწაულები

14.01–წინადაცვეთა უფლისა
27.01, 1.06–ნინოობა
8.02–დავითობა
11.03–შიოობა (მოძრავი)
24.04–ლაზარეს შაბათი (მოძრავი)
9.05–კვირაცხოვლობა (მოძრავი)
6.05, 23.11–გიორგობა
12.05, 13.12–ანდრიაობა
14.05, 16.05–თამარობა
22.05–შიოობა, ნიკოლოზობა
17.06–მამადავითობა (მოძრავი)
27.06–ყოველთა წმიდათა (მოძრავი)
7.07–შობა წმ. იოანე ნათლისმცემლისა
12.07–პეტრე-პავლობა
13.07–სვეტიცხოვლობა
15.07–ვლაქერნობა
28.07–კვირიკობა და ივლიტობა
9.08–პანტელეიმონობა
11.09–თავის კვეთა წმ. იოანე ნათლისმცემლისა
14.09–საეკლესიო ახალი წელიწადი
26.09–ქეთევანობა
9.10,21.05–იოანე ღმრთისმეტყველობა
18.10–გრიგოლ ხანძთელის ხსენება
13.11–ხსენება 100 000 ქართველთა მოწამეთა
21.11–მთავარანგელოზობა
13.12–ვახტანგ გორგასლობა.
17.12–ბარბარობა
19.12–ნიკოლოზობა
24.12–ყოველთა ქართველთა წმიდათა
25.12–სპირიდონ ტრიმიფუნტელობა

მიცვალებულთა მოსახსენებელი დღეები

6.03 ხორციელის შაბათი
27.03 დიდი მარხვის მეორე შაბათი
3.04 დიდი მარხვის მესამე შაბათი
10.04 დიდი მარხვის მეოთხე შაბათი
11.05 თომას კვირის სამშაბათი
19.06 სულის შაბათი (სულთაობა)
6.11 დიმიტრის შაბათი

რას გვპირდება ხარის წელიწადი...

2021 წელი აღმოსავლური ჰოროსკოპით თეთრი ლითონის ხარის წელია

თუ 2020 წლის მფარველი ვირთხა გულუხვად აჯილდოებდა თავის ფავორიტებს – ავანტიურული სულის მქონე, გამბედავ ადამიანებს, თეთრი ლითონის ხართან ასეთი რამ არ გავა. 2021 წლის მასპინძელს არ უყვარს ფუჭი ლაყბობა და უზომოდ აფასებს შრომისმოყვარეობას. მაგრამ აქაც არის „მაგრამ“—თავისი კონსერვატიულობიდან გამომდინარე, ხარი მხოლოდ იმ ნიშნებს დაეხმარება, რომლებსაც გამოცდილი და სწორი გზები უყვართ. მთლიანობაში, თუ გსურთ, რომ ნებისმიერი საქმის შედეგები, იქნება ეს ბიზნესი, ქორწინება, მშენებლობა თუ სხვა, წარმატებული იყოს, მაშინ ამისთვის 2021 წელი იდეალურია. ხარი ყველანაირად შეუწყობს ხელს იმას, რაც მრავალ წელზეა გათვლილი. ზოგადად, ყველა ნაბიჯი, რომელშიც არის რამე აზრი, განკუთვნილია დიდი მიზნისთვის, წლის სიმბოლოს მხარდაჭერას მოიპოვებს. ხარი დასაყრდენი ძალა იქნება მათთვისაც, ვინც საქმეს ხელებით აკეთებს – მნიშვნელობა არა აქვს, მიწაზე მუშაობთ, ბინას არემონტებთ თუ რას საქმიანობთ, მაგრამ ამ წელს ფული თქვენ ჯიბეში იოლად მოვა. ოქროს ან წითელი ხარისგან განსხვავებით, თეთრ ლითონის ხარს გარკვეული სენტიმენტობა და გრძნობების გამოხატვის ღია მანერა ახასიათებს, ამიტომ მას ესმის ადამიანური სისუსტეები და მის მიმართ შემწყნარებელია, მაგრამ – მხოლოდ ერთი სისუსტის მიმართ და ისიც – ყოველთვის არა. არ დაივიწყოთ, რომ ამ ნიშანს ნაკლებად კონტროლირებადი მრისხანება ახასიათებს და კარგი იქნება, თუ ეს მხოლოდ თეორიულად გეცოდინებათ და არა პრაქტიკაში. წლის სიმბოლოს კონსერვატიულობიდან გამომდინარე, 2021 წელს დიდი სიმდიდრის იმედი ზოდიაქოს არც ერთ ნიშანს არ უნდა ჰქონდეს. ხარი – ეს მუდმივობის სიმბოლოა, მის წელიწადს ნელ–ნელა უნდა შეაგროვოთ თანხა, ამიტომ გააკეთეთ საქმე და მიჰყევით დინებას. ამასთან, ხარის წელიწადში ძალზე ძლიერი, ჯანმრთელი და სულიერად მტკიცე ბავშვები იბადებიან. თუ ბავშვის გაჩენას აპირებთ, ამისთვის 2021 წელი იდეალურია. ხარის წელიწადი – ეს არაა სწრაფი სვლა კარიერაში, არამედ ესაა მტკიცე ნაბიჯები ზევით მიუხედავად სიზარმაცის, დაღლილობისა და სურვილის უქონლობისა. სამაგიეროდ, შრომისმოყვარეობისთვის ხარი ყოველთვის გულუხვად დაგაჯილდოებთ.

ვერძი (21.03 - 20.04)

ხარის წელიწადი ყოველ 12 წელიწადში ერთხელ მეორდება იმისთვის, რომ ვერძს მოთმინება ასწავლოს, მაგრამ ვერძებს ტყუილად კი არ გაქვთ ყველაზე ჯიუტი ნიშნის იარლიყი „მოწებებული“. აქედან გამომდინარე, თქვენ ბოლო ძალამდე შეეწინააღმდეგებით ხარს. მაგრამ გარკვეულ მომენტში, როცა ცოტა დამშვიდდებით, დაინახავთ, რომ ის, რასაც ადრე დაჟინებული ბრძოლით აღწევდით, ახლა თავისით ჩაგივარდათ ხელში. უბრალოდ, ხარს მომთმენი და შრომისმოყვარე ადამიანები უყვარს და თუ შეძლებთ საკუთარი იმპულსურობის გადალახვას, 2021 წლის ბოლოს აუცილებლად იტყვით: „ეს შესანიშნავი წელი იყო“.

კურო (21.04 - 20.05)

როგორ ფიქრობთ, გამონახავენ საერთო ენას ხარი და კურო, თუ ისინი ტყუპი ძმასავით არიან? რა თქმა უნდა. კუროებისთვის 2021 წელი იქნება, როგორც მოგება ლატარიაში. თქვენი საზრიანობა და გამჭრიახობა წლის სიმბოლოს მხრიდან ყველანაირად იქნება მხარდაჭერილი, რაც კარგ სულიერ და მატერიალურ დივიდენდებს მოგიტანთ. გარდა ამისა, ამ წელს კუროებს გელოდებათ ნაცნობობა, რომელიც თქვენს ცხოვრებას შეცვლის და შესაძლოა, ძირფესვიანადაც კი. ამისთვის ირგვლივ მყოფებისთვის მაქსიმალურად გახსნილი უნდა იყოთ.

ტყუპები (22.05 - 21.96)



ბუნებრივი მომხიბვლელობა და როგორც ტყუპებს უწოდებენ – „კომუნიკაციის მეფის“ უნარები 2021 წელს ნაკლებად დაგეხმარებათ. შეეგუეთ ამას. საკუთარი მიზნების მისაღწევად და თანხის გამომუშავებისთვის ბევრი შრომა მოგიწევთ. გარემოებები გაიძულებთ, გადახედოთ ხარჯებს ცხოვრებაზე და ის უფრო რაციონალური გახადოთ. ამასთან, შესაძლოა, რაღაც ახალიც ისწავლოთ. სამაგიეროდ, პირად სფეროში ყველაფერი წესრიგში იქნება – ესაა სულიერი სიმშვიდე, რაც ბედნიერებას მოგიტანთ და ყველა სხვა პრობლემის გადაჭრაში დაგეხმარებათ.

კირჩხიბი (22.06 - 22.07)

კირჩხიბი რისი კირჩხიბია, თუ მუდმივად ყველაფერზე არ იღელვებს და ინერვიულებს. 2021 წელი კი დაგეხმარებათ, რომ ნაკლები მნიშვნელობა მიანიჭოთ ირგვლივ წვრილმანებს და ყურადღება მხოლოდ ნამდვილად მნიშვნელოვანზე გაამახვილოთ. წარმოიდგინეთ, რაოდენი წამებაა ეს იმპულსური კირჩხიბისთვის? გარდა ამისა, მოსალოდნელია იმედგაცრუება სიყვარულში, მაგრამ ეს უნდა მოხდეს, რომ თქვენს ცხოვრებაში მოვიდეს ის, ნამდვილად თქვენი. ასე რომ, არ ინერვიულოთ, მიჰყევით ცხოვრებას – სამყარო თვითონ გადაწყვეტს ყველაფერს.

ლომი (23.07 - 22.08)

ხარს ავანტიურული მოქმედებები არ უყვარს, მაგრამ ის ზოდიაქოს მხოლოდ ერთ ნიშანს – ლომს არ დასჯის ამისთვის, ანუ არ შეგიქმნით დაბრკოლებებს, როდესაც გარკვეულ სიტუაციაში ვა–ბანკზე წასვლას გადაწყვეტთ. საქმე ისაა, რომ 2021 წელს თქვენი ბიზნესთან დაკავშირებული საქმეები „ბუქსაობას“ დაიწყებს და ახალ დონეზე გასვლაში მხოლოდ სითამამე, გაბედულება, შემტევი ხასიათი და უდიდესი ძალისხმევა დაგჭირდებათ. ზოგადად კი ლომებს დიდი გზა დაგჭირდებათ იმისთვის, რომ შეეგუოთ – ცხოვრება მუდმივი დღესასწაული არ არის, არამედ ასევე „ნაცრიდსფერი დღეების“ მონაცვლეობაც.

ქალწული (23.08 - 22.09)

ქალწულებმა ბევრი რამ მოასწარით გასულ ასტროლოგიურ ციკლში და რა თქმა უნდა, 2020 წელსაც, ასე რომ, ხარის წელიწადი თქვენთვის გასულის გაანალიზებისა და ახალი ცოდნის მიღების დრო იქნება. ჰოროსკოპი ძლიერ რყევებს ან კაშკაშა მოვლენებს არ გპირდებათ. გამონაკლისი მხოლოდ შემოქმედებით საქმიანობაში ჩართული ქალწულები იქნებით, რომელთათვის ხარის წელი აღიარებისა და ცინცხალი იდეების გაჩენის დრო შეიძლება გახდეს. ან, იქნებ, სწორედ ამ წელს მოინდომოთ შვილის ყოლა და მთელი ენერგიის მის გაზრდა–აღზრდაში ჩადება? ვარსკვლავები ამას ხელს შეუწყობენ.

სასწორი (23.09 - 23.10)

ხარის წელიწადს სასწორებმა შრომისა და ტკბობის შერწყმა უნდა ისწავლოთ, ანუ ერთდროულად სიამოვნებითა და კმაყოფილებით დააკვირდეთ ცხოვრებას და ამავე დროს, საჭირო მომენტში სამუშაო „გმირობისთვის“ რესურსები იპოვოთ. 2021 წელს ერთი–ორჯერ დადგება მომენტი, როდესაც საჭირო გახდება თავის საუკეთესო მხრიდან წარმოჩენა. და თუ ამას გააკეთებთ, შრომისა და ტკბობის შერწყმით მიღებული დივიდენდების ეფექტი კიდევ დიდხანს გაგრძელდება. და კიდევ – დიდი წარმატებები გელოდებათ სიყვარულში.

მორიელი (24.10 - 22.11)



ხარის ენერგია, რომელიც მორიელების ფაქიზ ინტუიციას მოერგება, ძალიან კარგ შედეგს მოიტანს როგორც ფინანსურ სფეროში, ისე პირად ურთიერთობებში, რომელიც 2020 წელს გარკვეულწილად შერყეული იყო. ასევე ეს წელიწადი, თქვენთვის მოულოდნელად, მრავალი მოგზაურობის დრო გახდება, რაც დაკავშირებული იქნება როგორც სამუშაოსთან, ისე დასვენებასთან. ეს კარგად დამუხტავს თქვენს შინაგან ენერგიას და წლის ბოლოს იოლად გაუმკლავდებით ზამთრის დადგომის გამო დამდგრად „პირქუშ“ განწყობას.

მშვილდოსანი (23.11 - 21.12)

მშვილდოსნები 2021 წელს მოულოდნელად გააცნობიერებთ, რომ თქვენი ბედნიერების საფუძველი – ეს ოჯახია და თუ მანამდე ეს თქვენთვის სამუშაოსა და უამრავი საქმის მერე მეორე პლანზე იდგა, ახლა ოჯახს ბევრ დროს დაუთმობთ, იზრუნებთ ოჯახური სითბოს შენარჩუნებაზე, პარტნიორთან ურთიერთობებზე და არ დაგენანებათ დახარჯული დრო ბავშვების აღზრდაზე. ამასთან, შესანიშნავად წავა თქვენი საქმეები, რადგან საქმიანი პროცესებიდან ზედმეტი ქაოსი და ორომტრიალი აღარ იქნება. შეძლებთ ჯერ დღის წესრიგის, შემდეგ კი ცხოვრების აწყობას ისე, რომ ყველაფრის გაკეთებას მოასწრებთ. ერთადერთი, რაშიც ფრთხილად უნდა იყოთ, ეს საქმიანი პარტნიორების მიმართ უსაზღვრო ნდობაა.

თხის რქა (22.12 - 20.01)

2021 წელი თხის რქებმა სახლის ნეგატიური ენერგიისგან გაწმენდით უნდა დაიწყოთ. ამის გაკეთება შეიძლება საფუძვლიანი დასუფთავებით, მაგრამ აჯობებს, თუ ამასთან ერთად, გადაყრით ძველ და უსარგებლო ნივთებს. მთლიანობაში, ძალზე ხელსაყრელი წელი გელოდებათ, განსაკუთრებით, თუ წარსულს არ ჩაეჭიდებით და ჯანმრთელობაზე იზრუნებთ.

არ ღირს წარსული შეცდომების გამო თავის დასჯა, ამ შეცდომების გაანალიზება. გარშემომყოფების კრიტიკას ოპტიმიზმით შეხედეთ, ან სულაც, ყურადღებას ნუ მიაქცევთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს თქვენს ნერვებს სრულად გამოფიტავს. წლის მეორე ნახევარში სასიამოვნო სიურპრიზები გელოდებათ.

მერწყული (21.01 - 19.02)

წლის დასაწყისში ყველაფრის შეცვლის სურვილი გაგიჩნდებათ: ყოფაში, პირად ცხოვრებაში, შესაძლოა, პროფესიის შეცვლაც კი მოინდომოთ. და მაინც, მიუხედავად მტკიცე გადაწყვეტილებისა, სჯობს, გაზაფხულის ბოლომდე თავი შეიკავოთ ცვლილებებისგან. ჯერ ერთი, წლის მფარველ ხარს აჩქარება არ უყვარს, მეორეც – მაისში პლანეტები და ვარსკვლავები საუკეთესო პოზიციაში განლაგდებიან და მიზნების მისაღწევად დიდი ძალისხმევა არ დაგჭირდებათ.

თევზები (20.02 - 20.03)



თქვენთვის 2020 წელი არცთუ მარტივი იყო, მაგრამ ბევრი დადებითიც მოიტანა: შეიძინეთ სიბრძნე, მიიღეთ გამოცდილება, შესაძლოა, გარკვეული თანხის დაგროვებაც შეძელით. და თუ ამის შენარჩუნებას 2021 წელსაც მოახერხებთ, ეს ძალიან კარგი იქნება. უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წელს შეძენილი გარკვეული სიმშვიდე დიდ მხარდაჭერას მოიპოვებს ხარისგან. 2021–ში გელოდებათ მოგზაურობები, ახალი ნაცნობობა და უბრალოდ, ბედნიერების მომენტები, რომლებიც თქვენ გულში სამუდამოდ დაიკავებენ ადგილს.

გვილოცავენ, ვულოცავთ...

საახალწლო სურვილები

გავაცილეთ 2020, ძალიან მძიმე და ყოველმხრივ რთული წელი, რომელმაც ისეთი განსაცდელი გვარგუნა, როგორიც კორონავირუსული პანდემიაა. ის რაც ამ პანდემიამ მოგვიტანა, ომსაც არ მოუტანია, რადგან მაშინ იცოდნენ ადამიანებმა, რომ ომი მსხვერპლის გარეშე არ არსებობს და, რომ სამშობლოსათვის იღუპებოდნენ. ბევრი ჩვენი ახლობელი და მეგობარი, ნაცნობ-უცნობი წავიდა ამ ქვეყნიდან, ისინი ზეციური საქართველოს მკვიდრნი გახდნენ, მაგრამ გვაიმედებს ის, რომ მათი სულები უკვდავია, ხსოვნა კი მარადიული.

და ნუ დავიშურებთ ერთმანეთისთვის გულის სითბოს და კეთილ სიტყვას, მშვიდობა იყოს ჩვენს გულებში, ოჯახებში, სათნოებამ და სიყვარულმა დაიდოს ბინა. ვერც ერთი ჩვენგანის ბედნიერება ვერ იქნება სრულყოფილი, თუ ჩვენს გვერდით ვინმე უბედურია, ამიტომ უნდა ვეცადოთ დავუდგეთ ერთმანეთს გვერდით, დავეხმაროთ, ვუწილადოთ ჩვენი წილი, როგორც არასდროს ისე გვჭირდება ამაღლებული სული, მოთმენის უნარი, წყენის დავიწყება. ვკითხოთ საკუთარ თავს —„აბა მე დღეს ვის რა ვარგე“—და თუ გექნება პასუხი, რომ „არგე“ ნახავ, რომ ბედნიერი იქნები.

აღდგომილმა უფალმა პირველად მშვიდობა უსურვა თავის მოწაფეებს, მშვიდობა სუფევდეს ჩვენს გულებში, ჩვენს ოჯახებში, ქვეყანაში, მსოფლიოში. 2020 წელი კი უკვე შეუერთდა მარადისობას და 2021 წელი მოვიდა. გვინდა თუ არ გვინდა ერთი წლით მივუახლოვდით მიწიურ აღსასრულს, სწორედ ამიტომ არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფასეულობანი, რაც სავალდებულოა ამ წუთისოფელში, ჩვენ დიახაც უნდა ვიცავდეთ ჩვენ ინტერესს და ვფიქრობდეთ ჩვენს კეთილდღეობაზე, მაგრამ უნდა ვფიქრობდეთ სხვებზეც... პირად ინტერესებსა და შეხედულებებს არ უნდა შევწიროთ საზოგადო და ეროვნული ინტერესები. ქვეყნად ყველაფერი იცვლება, წარსულს ბარდება და მივიწყების ფერფლით იფარება ყოველდღიური ცხოვრება, სიკვდილი უცილობელი ხვედრია ადამიანისა და რადგან ხატი და მსგავსი ხარ ღმერთისა, მაშინ ვიცხოვროთ მართლად და ქრისტეს მცნებებით. მრისხანებას და ბოროტებას ნუ ჩავიდებთ გულში, ნურც იმ ადამიანების მიმართ, ვინც უსამართლოდ მოგექცა, ვიყოთ მართალნი სხვებთან და საკუთარ თავთან.

დგას ახალი წელი, მომავლის კარი გაღებულია, იყოს იგი მშვიდობიანი და ბედნიერი, გვაცილოს განსაცდელი, „იყავნ, უფალი ღმერთი ჩუენი ჩუენთანა“.

ჟუჟუნა ცხადაძე

შობა-ახალ წელს გილოცავთ საუკუნე გავლილო თანამემამულეებო!

მათი რიცხვი მხოლოდ სამია...

როცა საუკუნე გავლილ ადამიანებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად ვიხსენებთ მეორე მსოფლიო ომს, რომელიც წარუშლელ განსაკუთრებულ ეპიზოდად დარჩა ჩვენი თანამემამულეების ცხოვრებაში. სამამულო ომის საწყისი პერიოდის უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო მოსახლეობის მობილიზება და მოქმედ არმიასა და სამხედრო სამსახურში გაწვევა. მამაკაცებთან ერთად ფრონტზე მასიურად გაიწვიეს ქალები, ძირითადად ექიმები და ექთნები. სულ საქართველოდან 700 000-ზე მეტი ადამიანი.

ომის მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს ეკონომიკა საომარ ყაიდაზე გარდაიქმნა. ფრონტზე მოსახლეობის გაწვევამ სოფლის მეურნეობა თითქმის მუშა-ხელის გარეშე დატოვა. სოფლად შრომის მთელი სიმძიმე ქალებს, მოხუცებს და ბავშვებს დააწვათ.

სამხედრო არმიასა და სამხედრო ფლოტის რიგებში გაწვეული ქართველები მონაწილეობდნენ ომის თითქმის ყველა დიდ საბრძოლო ოპერაციებში, განსაკუთრებით ყირიმში და კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში, სწორედ აქ დაიღუპა ქართველების ყველაზე დიდი რაოდენობა.

ომის შედეგები ძალზე მძიმე იყო საქართველოსათვის. ფრონტზე დაიღუპა 300 000-ზე მეტი კაცი.

***

თერჯოლის რაიონიდან ომის დაწყების პირველსავე დღეებში და თანდათან ომში გაიწვიეს 3532 კაცი, 2325 აღარ დაბრუნებულა.

***

ომის დამთავრებიდან 75 წელი გავიდა. მიდიოდნენ ამ ქვეყნიდან ომგადახდილი ვაჟკაცები, თანდათან კლებულობდა მათი რიცხვი. სამარადისო ხსოვნა მათ და დიდხანს სიცოცხლე



დარჩენილთ, რომელთა რიცხვი მხოლოდ სამია: აბესაძე დიმიტრი (ქ. თერჯოლა), გვენეტაძე ნიკოლოზი (ზ. სიმონეთი) ელიავა შალვა (ჭოგნარი). მათ შორის ყველაზე უხუცესი არის ნიკოლოზ გვენეტაძე—იგი 100 წლისაა.

ოთხნი არიან— უმრავლოთ ასეთებს!

ომის სიმძიმე, შრომა ოჯახში და კოლმეურნეობაში თერჯოლელმა ქალებმაც ზიდეს. ამასთან ზრდიდნენ შვილებს, მოთმინებით ელოდნენ ომის დამთავრებას, ომის შემდეგაც აქტიურობდნენ, შრომობდნენ, ქმნიდნენ, აკეთებდენენ, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს ზრდიდნენ.

საახალწლო ნომრის სტუმრები არიან ასი წლის ქალბატონები: ხაჭაპურიძე თინა (კვახჭირი), ბოგვერაძე გოგოცა (ზ. სიმონეთი), გაგნიძე თამარა (ზ. სიმონეთი), დევიძე ქსენია (ახალთერჯოლა).

ვულოცავთ ჩვენ სასიქადულო ომის და შრომის ვეტერანებს, ასი წლის ქალბატონებს ახალ წელს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ოჯახის ბედნიერებას და დღეგრძელობას. მათი წარსული ცხოვრება იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორ უნდა გიყვარდეს სამშობლო, შენი სოფელი, ადგილი, სადაც გიშრომია, აგური აგურს დაგიდვია, შვილები და შვილიშვილები გაგიზრდია, მხოლოდ კეთილი საქმე გიკეთებიათ და ამ მიზნით და სულისკვეთებით დიდი გზა გაგივლიათ, კვლავაც გეხაროთ საკუთარ და საყვარელ ოჯახებში.

გმადლობთ, რომ კვლავაც ძალას გვმატებთ.

ჟუჟუნა ცხადაძე

ჩვენს ქვეყანაში ახალმა 2021 წელმა შემოაბიჯა, კიდევ ერთი წელი შეუერთდა მარადისობას და ისტორიის საკუთრება გახდა, ლხინით თუ ტკივილით, პოლიტიკური წარმატებით თუ შეცდომებით დატვირთული 2020 წელი.

დღესასწაული, რომელსაც ყველაზე მეტად ელოდები—ახალი წელია. მას ხომ არა მარტო მხიარული განწყობა, საჩუქრები, სასიამოვნო ურთიერთობები და უგემრიელესი სადღესასწაულო სუფრა მოაქვს, არამედ ყველა ადამიანისათვის უმთავრესი რამ—იმედიც.

ჩვენი იმედი, ხომ ჩვენი პატარები არიან. ყველაზე დიდი ხიბლი და სიხარული დედამიწაზე ბავშვების ტიკტიკით და ღიმილით იწყება. ისინი ალამაზებენ სამყაროს და ყოველდღიურობას, შესაბამისად, ადამიანთა უპირველესი საზრუნავიც პატარები არიან. სიცოცხლის არსი და აზრიც. მათი მოვლა-პატრონობა, გაზრდა და ცხოვრების გზაზე, ღირსეულ ადგილზე დაყენება, მომავალიც ხომ მათ ეკუთვნით.

ახლა, როცა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში საბავშვო ბაგა-ბაღის კარებები გამოკეტილია და პატარებიც შიგა „საკარანტინო“ ზონაში იმყოფებიან, ვინ იცის, როდის გაივლის პანდემია და როდის დაუბრუნდებიან ისინი თავიანთ თანატოლებს და აღმზრდელ-პედაგოგებთან სასწავლო პროცესში ჩართვით ისიამოვნებენ.

ახლა ის დროა, წესით საბავშვო ბაღებში საახალწლო კარნავალი იმართებოდეს, მაგრამ, რას იზამ „კოვიდ-19“ თავისი თამაშის წესები აქვს და მარტივად არ არის საქმე.

მინდა დიდი სიყვარულით მივულოცო ჩემი ბაღის აღსაზრდელებს, მათ მშობლებს, საბავშვო ბაღის აღმზრდელ-პედაგოგებს, თანამშრომლებს დამდეგი ახალი წელი, შორიდან მოვეფერო და ვუთხრა, რომ მიყვარხართ. მალე ყველანი ერთად ვიქნებით.

ამასთანავე, მივულოცო სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ყველა თანამშრომელს ქალბატონ მაიას ხელმძღვანელობით.

ვულოცავ თერჯოლის ახლად არჩეულ მერს, ლაშა გოგიაშვილს და დეპუტატ ბეჟან წაქაძეს, ყველა თერჯოლელს, ყველა ქართველს, საქართველოს ყველა მოქალაქეს.

2021 წლის შემობრძანებას, ჩვენ ქვეყანაში მოეტანოს მშვიდობა, სიკეთე, სიყვარული, ქართველთა გამრავლება და გამთლიანება, რომელიც ახლა ისე გვჭირდება, როგორც არასდროს.

გისურვებთ წარმატებებს.

ნატო აბულაძე,
ზ. ალისუბნის საბაშვო ბაღის დირექტორი

ჩემთვის ახალი წელი საერო დღესასწაულებს შორის გამორჩეულია, ყველა სიახლის მოლოდინშია, ამიტომ ცდილობენ კარგი განწყობით შეხვდნენ ახალ წელს მიუხედავად არსებული ეპიდსიტუაციისა.

ახალ წელთან ასოცირდება ახალი სურვილები, ახალი იმედები და მისწრაფებები. ყველაფერი სიახლე ახალ წელს უკავშირდება, მაგრამ საახალწლო ტრადიციები და სურვილები ერთმანეთისგან განსხვავებულია.

დღემდე მომყვება რწმენა იმისა, რომ როგორი განწყობითაც შევხვდები ამ დღესასწაულს, მთელი წელი ასეთი განწყობა გამყვება. ამიტომ მინდა ვუსურვო ჩემს კოლეგებს ჰქონდეთ განწყობა სიხარულის, ბედნიერების და სიყვარულის.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ალისუბნის თემის N1 საჯარო სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პედაგოგიურ კოლექტივს, ტექნიკურ პერსონალს, მოსწავლეებს და სრულიად საქართველოს მოსახლეობას გილოცავთ დამდეგ 2021 წელს, გისურვებთ, თითოეული თქვენთაგანის ოჯახებში შემოიტანოს ახალმა წელმა ხვავი, ბარაქა და მშვიდობა. ახალო წელო, „გაავსე სახლი ყოველი მშრომელისა მზითა და სითბოთი, დაუშრეტელ მდინარედ იდინე ბედნიერებავ ყოველი ქართველის ოჯახში.“ ჩემი ქვეყნისთვის, შენი შემობრძანება ყოფილიყოს წარმატებებისა და გამთლიანების საწინდარი.

დავით კუტივაძე,
სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის ალისუბნის თემის N1 საჯარო სკოლის დირექტორი

ახალი წელი ძალიან მიყვარს, რადგან ბევრი საიდუმლო სანტა მყავს ხოლმე. პირველი საჩუქარი საიდუმლო სანტასგან წელს უკვე მივიღე და ძალიან მომეწონა. მეც მინდა, ბევრი ადამიანი გავახარო. წელს ყველაზე მეტად მიხაროდა ახალი წელი, რადგან ახალი სკოლა ძალიან ლამაზად გვაქვს მორთული და მინდოდა, ჩემს მეგობრებთან და მასწავლებლებთან ერთად დისტანციურად კი არა, ამ ლამაზ სკოლაში გვესწავლა და კარგი საახალწლო ზეიმი გვქონოდა. მე ყველა მიყვარს, ვისაც ვიცნობ და ყველას მინდა ახალი წელი მივულოცო—ჩემს მონატრებულ კლასელებს, მეგობრებს, ნათესავებს, ჩემს ლია და სოფო მასწავლებელს, ჩემს საყვარელ დედიკოსა და მამიკოს, ბებიკოებს, ბაბუას, ბიძებს, ბიცოლებსა და ჩემს უსაყვარლეს ბიძაშვილებს. ჩემი ქეთინო მამიდა იტალიაშია და აქედან მინდა მასაც მონატრებით მივულოცო.

ძალიან ბევრი ნატვრა მაქვს და მინდა, ყველა ამისრულდეს! მინდა, ავად არავინ არ იყოს, მალე დამთავრდეს კორონას დრო და ისევ ერთად ვიყოთ ადამიანები ჩახუტებული! მინდა, ყველა ბავშვს მიუტანოს თოვლის ბაბუამ სასურველი სათამაშო და ტკბილეული! მინდა, არავინ არ ტიროდეს და ყველას უხაროდეს, ყველა ბედნიერი იყოს! მინდა, ყველა ბავშვთან იყოს თავისი დედიკო! ყველაფერი რომ ამისრულდეს, მეც უნდა ავუსრულო დედიკოს სურვილები: კარგად უნდა ვისწავლო და ჩემი კარგი ქცევით გავახარო მისი გული.

ნიტა აბუთიძე,
სიქთარვის საჯარო სკოლის მოსწავლე

გვილოცავენ, ვულოცავთ...

ელგუჯა ლანჩავა—ისევ აქტიური, ისევ ენთუზიასტი, ისევ ცხოვრების შუაგულში

სხვანაირად არც შეუძლია. ბუნებამ დაამადლა ნიჭი—იყოს და ქმნიდეს. მისი თვალსაწიერი არ განისაზღვრება მხოლოდ პირადულით. ცხოვრების უნარი, ნიჭიერება, განათლება, სურვილი—იყოს წარმატებული შესაძლებელს უხდის მართოს მისივე ძალისხმევით შექმნილი ფუძეძლიერი ოჯახი. იყოს ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში.

პროფესიით ფიზკულტურის მასწავლებელი თავის პედაგოგიურ მოღვაწეობას უნარიანად უთავსებს საზოგადოებრივ საქმიანობას.

მისმა პედაგოგიურმა მუშაობამ ფართო ასახვა ჰპოვა არა მხოლოდ ადგილობრივ და რესპუბლიკურ პრესაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ელგუჯა ლანჩავა ჭკვიანი მეწარმეც არის. საყოველთაოდ ცნობილი ეკლარის საშენი ქვის წარმოების საქმეში ვლინდება ის პოზიტივი, რაც აგრე რიგ აუცილებელია იმისათვის, რომ შექმნა საერთო საზოგადოებრივი ღირებულება.

აქვს უნარი ბიზნესმენის თვალით განსაზღვროს—რა და როგორ... აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია მუდამ წარმოაჩენს მას, როგორც სოფლისა და მუნიციპალიტეტის მოამაგე მოღვაწეს.

ბატონი ელგუჯას შვილებისა და შვილიშვილების ყოველდღიურობაში სრულად არის გასხივოსნებული ოჯახის უფროსის აზროვნება და მრწამსი.

დასანანია და ვწუხვართ, რომ ახლახან, ბატონ ელგუჯას გარდაეცვალა ცხოვრების ერთგული თანამგზავრი, ღვაწლმოსილი პედაგოგი ქალბატონი მერი გოგიაშვილი.

ოჯახს, სოფელს, სკოლას გამოაკლდა შესანიშნავი ადამიანი, ნათელში ამყოფოს.

ბატონო ელგუჯა, თქვენ და თქვენს შვილებს, ასევე პედაგოგიურ კოლექტივს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს გულითადად გითანაგრძნობთ ძვირფასი ადამიანის დაღუპვის გამო.

ნათელი ეფინოს.

გისურვებთ მხნეობას. ახალ 2021 წელს თქვენთვის მხოლოდ სიხარული მოეტანოს.

გაზეთი „თერჯოლა

ჩვენი იმედი გქონდეთ!

კლინიკა „იმერმედი“ არსებობის მანძილზე პირველად ხვდება ახალ წელს განსაკუთრებულად მძიმე ვითარებაში, რომელიც ქვეყანაში და მთელს პლანეტაზე ახალი კორონავირუსით გამოწვეულმა დაავადებამ შექმნა. თვეების მანძილზე ჩვენი მედპერსონალი, საკუთარი ჯანმრთელობის რისკის ქვეშ დაყენების ხარჯზე, იბრძვის თითოეული პაციენტის სიცოცხლის გადასარჩენად, ახლა კი, ამ ძნელბედობის ჟამს, ბევრიც დავინფიცირდით, ბევრმა ოჯახებსაც მივუტანეთ ეს ვერაგი ვირუსი, ბევრჯერ ახლობლები მოგვნატრებია, ბევრჯერ დავღლილვართ, დავსუსტებულვართ, მაგრამ ბრძოლა არასდროს შეგვიწყვეტია. ძალას და ბრძოლის ჟინს იმ პაციენტთა თვალები გვიღვივებდა, იმედიანად რომ გვიცქერდნენ— „ გვიშველეთ, გადაგვარჩინეთო“.

„იმერმედი“-ს გუნდი ძლიერი ძალაა, რომელიც არასდროს უღალატებს არჩეულ გზას. მიუხედავად არსებული პრობლემებისა, კლინიკა არ ღალატობს ტრადიციებს და მოსახლეობაზე მორგებულ სერვისებს სთავაზობს მოქალაქეებს. საჭიროებიდან გამომდინარე კლინიკა გადაკეთდა ჰიბრიდული ტიპის სამედიცინო დაწესებულებად, რაც იმას ნიშნავს, რომ აქ მოემსახურებიან როგორც კოვიდინფიცირებულ, ასევე არაკოვიდინფიცირებულ პაციენტებს, რომელთათვისაც სპეციალურად შეიქმნა კოვიდ განყოფილებისაგან იზოლირებული „შერეული სუფთა“ განყოფილება.

ჩვენ მუდამ ვიზრუნებთ თქვენზე, ძვირფასო პაციენტებო, ყოველთვის გავითვალისწინებთ

თქვენს მოთხოვნილებებს და მოვარგებთ თქვენს სურვილებს ჩვენს სერვისებს.

„იმერმედი“ გილოცავთ დამდეგ შობა-ახალწელს! გისურვებთ ხვავს, ბარაქას, კეთილდღეობას, სიყვარულს, სიხარულს და უპირველესად ჯანმრთელობას და გამრავლებას.

ფეხბედნიერი ყოფილიყოს დამდეგი ახალი წელი თქვენთვის და სრულიად სამყაროსთვის.

კლინიკა „თერჯოლამედის“ ადმინისტრაცია

საახალწლოდ!

ადამიანი ოდითგანვე დაინტერესებული იყო თავისი მომავალი ბედისწერის გარკვევით. ამისათვის არსებობდნენ მკითხავები, ჯადოქრები, მოგვები, ორაკულები და სხვა. 21-ე საუკუნეში „მოდაშია“ ასტროლოგების პროგნოზებით მომავლის განჭვრეტა...

2020 წელი, ჩინური კალენდრის მიხედვით, გახლდათ ვირთხის წელი და ამიტომაც, თუ პანდემიის გამო, მთელი წელი გამოკეტილები ვიყავით. ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობის ამბავი საქვეყნოდ ცნობილია, კორონამ კი ჩვენს ზღვარგადასულ სტუმართმოყვარეობაზე, ლხინსა და ღრეობებზე უარი გვათქმევინა: ამ წელს „სხვანაირად“ აღინიშნა აღდგომა; ქორწილები, ქელეხები, ნათლობები და დღეობებიც უფრო „მოკრძალებული“ იყო (ასე,70 კაცამდე... არადა 200 კაცზე ნაკლები რას მიქვიან).

2020-მა მთელს სამყაროს იმედები წყალში ჩაუყარა. დაგვიტოვა ნეგატიური შედეგები: პრობლემები ეკონომიკაში, კულტურის, განათლებისა და სამედიცინო სფეროში; დავკარგეთ ბევრი ძვირფასი და ახლობელი ადამიანის სიცოცხლე.

მიიწურა ძველი წელი...

ახალმა, 2021-აც მოგვიკაკუნა კარზე...

რა მსურს?

-მინდა, ყველაფერი ცუდი და უარესი წარსულში დარჩეს!

-მინდა, საქართველოში ჯანმრთელი და ბედნიერი ადამიანები დააბიჯებდნენ, პირბადეების გარეშე!

-მინდა, სკოლის მერხებთან დავბრუნდეთ!

მინდა, სტუმრად წასვლა, შიშის გარეშე!

მომენატრა ძველებური ლხინი, დღესასწაულები; (ქართველებს მართლაც რომ არ გვიხდება, სუფრასთან, მხოლოდ ღვინის წრუპვა; ჩვენი მაგიდა წელში უნდა იყოს გაზნექილი ხორაგისაგან, მტრების ჯინაზე!)

გვინდა, კონცერტები, სპექტაკლები, შეხვედრები, კონფერენციები!

გვინდა მშვიდობა!

ჩემო თერჯოლელებო, მთლიანად საქართველო!

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ყველა ოცნება, ნაფიქრი, მიზანი აგსრულებოდეთ ამ ახალ წელს!

ღრმად მწამს, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას უფალი არ გასწირავს!

გისურვებთ ყველა ოჯახში იშვას იესო ქრისტე!

სოფიო ცეცხლაძე,
ეწრის საჯარო სკოლის მასწავლებელი

წინაპართა მიერ განვლილი გზით

5 ☞

იყო მისთვის ძირითადი ნავთსაყუდარი, შეეძლო თბილისში ეცხოვრა, მაგრამ სიქთარვა ამჯობინა და როგორც თვითონ ამბობს—არ შემცდარა, ახლა მისი მთავარი მიზანია, შვილებს და შვილიშვილებს შეუქმნას ისეთი პირობები, მუდმივად ფიქრობდნენ სოფელზე, მის ავ-კარგზე, წინაპართა წინაპრებზე...

სოფლად დაბრუნებულის პირველი საქმე

სოფელში საბოლოოდ დამკვიდრებულმა პირველად 600 ძირი ვენახი გააშენა, რადგან მამაპაპათა მიერ დატოვებული ვენახები ვეღარ იძლეოდნენ ყურძნის უხვ მოსავალს, მოგვიანებით ისევ წინაპართა „მიმბაძველობით“ დაიწყო ფიქრი ხის საწნახელის გაკეთებაზე და „თვალი დაადგა“ დათა მემანიშვილის მიერ დარგულ ძელქვის ხეს, თითქმის 150 წლისას, ძელქვა დიდხანს ცოცხლობს, მაგრამ სამწუხაროდ ხე დაავადდა და შეშად მისი გამოყენება საცოდაობა იყო, ამიტომ ლიონიმ „იძულებით“ აიხდინა საწადელი. ძელქვა—ფოთოლმცვივან მცენარეთა გვარია, თელისებრთა ოჯახიდან, იზრდება 40 მეტრამდე, დიამეტრი სამ მეტრს აღწევს, სახელწოდება ძელისა და ქვის შეერთებით არის შედგენილი, რაც მისი მერქნის სიმაგრეს და გამძლეობას გამოხატავს.

სოფლის მოსახლეობის ერთი ნაწილი სკეპტიკურად უყურებდა ლიონის გადაწყვეტილებას—ძელქვის ხის საწნახლის-გაკეთების თაობაზე. ფიქრობდნენ, რომ გაუჭირდებოდა, მაგრამ მონდომებამ და საქმის სიყვარულმა, დააძლევინა თითქმის დაუძლეველი.

2015 წლის აპრილში დაიწყო პირველი სამუშაოები და სექტემბერში საწნახელი მზად იყო.

საინტერესო მუშა-პროცესი ახლდა თან საწნახლის კეთებას, მაგრამ მეტად მიმზიდველი სანახავი იყო თანდათან გამოკვეთილი კონტურები. საწნახლის კეთების მთავარი „ხელოსანი“ ლიონი იყო, მაგრამ მომხმარეები: ბიძაშვილისშვილი გოჩა მემანიშვილი და შვილები ეხმარებოდნენ, მაგრამ არანაკლები სტიმული იყო ცოტა მომხმარე, ცოტა გამცდენი შვილიშვილები, მუშაობისას იყენებდა: ნაჯახს, ხელეჩოს, საჭრისს, ხერხს—მჭრელსა და ბასრს.

საწნახლის სიგრძე 2,5 მეტრია, გარშემოწერილობა 1,8 მ. 350 კგ. ყურძენს იტევს.

დგას ახლა ლიონის ეზოში მოძრავი ხის საწნახელი და იზიდავს მნახველს, გაივლის საუკუნე, ერთი, შეიძლება მეტიც და კვლავ გაკეთდება ამ ფუძეზე ახალი საწნახელი, დასჭირდება მას ძელქვა, ან ცაცხვი, ან წაბლი, რომელიმე აქედანვე უნდა გაიზარდოს.

ლიონი 1941 წელშია დაბადებული, მალე 80 წლის გახდება. საუკეთესო შემთხვევაში იგი კიდევ 40 წელს იცოცხლებს, უფლის მიერ ადამიანისთვის დადგენილ 120-ს, ცხადია საწნახელს ვერ გააკეთებს, მაგრამ ხეს ხომ დარგავს, ისე, როგორც მისი წინაპრები და მერე მისი შთამომავლები გააკეთებენ საწნახელს, ისევ ექნებათ საზიარო ჭურისთავი, რომელსაც გააფართოებენ, ნიშნად ერთმანეთთან განუყოფლობისა, სიამტკბილობისა და სიყვარულისა.

***

კარი შემოაღო შობა-ახალმა წელმა. მარადიულობას შეუერთდა 2020 წელი. სიხარულით ეგებება თითოეული ჩვენგანი და ბატონი ლიონი მემანიშვილის დიდი ოჯახიც 2021 წელს. შობას, უმეტეს შემთხვევაში ძველით ახალწელს, ოჯახის „გაფანტული“ წევრები ერთად იკრიბებიან. ჯერ ათნი არიან, მალე მეთერთმეტე წევრიც შეემატებათ, კიდევ რამდენიმე წელი და კვლავ გამრავლდება ლიონის ოჯახი, შვილთაშვილები შემოემატებიან და ბედნიერება მარადიულად დაისადგურებს..

ბედნიერებას მოუტანთ ძლიერი სოფელიც, ლიონის შვილები და შვილიშვილები, სადაც არ უნდა იყვნენ, სოფელს არ მიატოვებენ, ახალ ვენახს გააშენებენ, ჩადგამენ ჭურებს—სხვადასხვა სიდიდისას „ხუთ კოკიანიდგან მოყოლებული 30 კოკიანამდის, უდიდესსაც 106 კოკიანს, სულ მომცრო 1 ჩაფიანსაც, მუდამ ექნებათ ღვინო სხვადასხვა ხარისხის: „ღვინო მსუბუქი, მხნე-გემოიანი, ღვინო კეთილი, მსუბუქი და შემრგო, გემოიან-სუნიანი მრავლად“, „ღვინო მსუბუქი და კარგი“...

ჟუჟუნა ცხადაძე

საახალწლო შეხვედრა-შეკრება გაზეთ „თერჯოლის“ რედაქციაში

(გთავაზობთ ქრონოლოგიურ ჩანაწერს)

ვალერიან გოგიაშვილი (გაზეთის გამომცემელი):

კოლეგებო, გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას. მშვიდობა, ჯანმრთელობა და შემოქმედებითი წარმატებები გქონოდეთ.

კორონავირუსით გავრცელებულმა პანდემიამ, როგორც ზოგადად, ისე ჩვენც საგრძნობლად გაგვირთულა საქმიანობა. გმადლობთ, რომ შემართებით უმკლავდებით ბუნების საშიშ გამოწვევას. მოგვიხდებოდა ალბათ სადმე წყნარ გარემოში აგვეღნიშნა ეს დღე, მაგრამ დამეთანხმებით—ამ საერთო მწუხარების ჟამს, როცა მრავალი ადამიანის, ახლობლისა თუ შორებლის სიცოცხლე შეიწირა უხილავმა მტერმა—უარი უნდა ვთქვათ ტრადიციულ საზეიმო შეკრებაზე.

ნება მომეცით წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ დაღუპული ადამიანების ნათელ ხსოვნას...

გმადლობთ.

სიტყვა რედაქტორს.

რას იტყოდით ბატონო დავით?

საახალწლო საზეიმო განწყობა, რა თქმა უნდა გაგვიუფერულა საყოველთაო უბედურებამ, მაგრამ, დამერწმუნებით შექმნილმა მდგომარეობამ კიდევ უფრო დაგვაახლოვა და ძალა შეგვმატა—ახალი შემართებით ვაკეთოთ ჩვენი საკეთებელი საქმე. იმედი მაქვს მალე საერთო სიმშვიდე დაივანებს ამ ლამაზ დედამიწაზე.

ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით მუშაობის ნორმალურ რიტმს. კვლავაც დავიცავთ ჟურნალისტურ სტანდარტებს ანუ განვაგრძობთ წერას თემებზე, რაც საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია, რაც ადამიანს უხარია, ან ადარდებს.

ვიზას უპრობლემოდ მივცემთ თემებს—გასაშვები თუ არის; არ გასაშვებს, რა თქმა უნდა—უარი!

ეს ზოგადად.

რაც შეეხება ჩვენს შეხვედრას—მინდა მას შემოქმედებითი ხასიათი მივცეთ და ჩვენი, ჟურნალისტური საქმიანობიდან გამომდინარე კოლეგებს მოგიწოდოთ აქვე სპონტანურად დადოთ თითო ეპიგრამა—ერთი კალმის მოსმით (ანუ ერთი ამოსუნთქვით) შექმნილი.

გაისმის ხმები: კარგია, თქვენით დავიწყოთ...

დავით კლდიაშვილი: კეთილი, წარსულში დავით კლდიაშვილი უკვე იყო რედაქტორ-მწერლის პოზიციაზე.

ახლა მე ვარ.

და, მყარად ვდგევარ!

წყალწითელას ხიდს იქით საპატიო ქუთაისელი გახლავართ.

ხიდს აქეთ თერჯოლელი ახლა ვარ.

მთავარი კი ის არის, რაც უნდა მეთქვა—

ბარდუბანია ჩემი სამშობლო და ჩემი გულის ფეთქვა!

ჩემი ვთქვი, ახლა თქვენი მითხარით—

როგორ ირჯებით დღისით და მზისით

ანუ—

როგორია თქვენი ხედვა ამ თვალსაზრისით?

იუზა მარუაშვილი

მე ისევ პრინციპულად მიმაჩნია, რომ ნაწერი უნდა იყოს გამართული.

თუმცა, არც ისე ძაან რთული.

სასურველია იყოს კლასიკურ-სტანდარტული

და, რაც მთავარია—აზრდართული!

ამ ყველაფერს ჩვენიდან წასული **სკანდე**ნავიელებიც მიდასტურებენ ხოლმე სატელეფონო საუბრებისას. ამას წინათ მომწერეს სტოკჰოლმიდან მუხურაში ვაპირებთ წამოსვლას წაბლის საბოჭად და თუ მოვახერხეთ სკანდეშიც შემოგივლითო. არ გამოჩენილან, ეტყობა კორონამ ხელი ააღებინათ განზრახვაზე.

რაც შეეხება ჩემს მთავარ ამოცანას, რის გამოც არც დღე და არც ღამე არ მეძინება, არის: ჩვენი გაზეთი და—სოფლის აღორძინება.

მზია ცქიფურიშვილი

კი, მარა, ვინ მკითხულობს—მზია სად არისო?

ან მასალები სად არისო მისი სადარისო?

მზია ცქიფურიშვილი, გენაცვალე მუდამ ადგილზეა—

უბრალოდ, ეზოში მიყვარს ხოლმე წერა, როცა მზეა...

ჟუჟუნა ცხადაძე

მე მაინც დავწერ დასაწერს

კორონაც რომ გადამეკიდოს,

მივწვდები, კაკვით ჩამოვხსნი

თუ გინდა ცაზე ეკიდოს.

დიდი მუხრანის წაბაძვით

თუ ჩამოვარდა არაკი

ცხრასართულიანს ჩავახვევ

რაში მჭირდება—„თვარა კი“.

ელზა ბოჭორიშვილი

ტექსტებს ავკრებ და ავალაპარაკებ,

როგორც წესია, ისე.

რედაქტორს თუ არ მოეწონება

გადავაკეთებ მყისვე.

ოღონდაც: წერეთ გარკვევით, სულ ამას გთხოვთ გარკვევით. წერეთ ისე, როგორც ბატონი ნუგზარი წერს ხანდახან.

რა სირთულეა იმაში, რომ **ლ**-გავდეს **ლ**-ს. **ტ**-უ **ტ**-უს და წ-უ წ-უს!? ბოლო ხომ უნდა მოეღოს ამდენ პუ-ტუნს და წუ-წუნს?!

ნათია გამყრელიძე

„თერჯოლა“—გაზეთი,

როგორც ასეთი

არის:

კეთილმსურველ-კეთილ-მთხრობელი-

სამშობლო მხარის.

ჭეშმარიტება აქ არწევს აკვანს,

და

გვიამბობს შენების, მშვენების და სიყვარულის ამბავს...

მანანა კირკიტაძე

ჩვენი გაზეთის გამოწერას გვთხოვს მთელი საიმერეთო!

არ ვიცი პირდაპირ როგორ მოვიქცე და რა ვაკეთო.

სად არ დავიმალე, სად არ მომიძიეს და სად არ მნახეს,

პირდაპირ კარები ამიტალახეს.

თუმც რა მიკვირს, გენაცვალე, ჩვენს გაზეთს სხვა პეწი და სხვა ეშხი აქვს,

ყოველ ოჯახში მშვიდობა, სიყვარული და სიხარული შეაქვს,

ამ ყველაფერს მკითხველიც გვიდასტურებს.

თუ ჩემი არ გჯერათ, ჰკითხეთ

გინდათ ქართველ და გინდათ უცხოელ სტუმრებს.

იზო აბულაძე

ყოველდღიურად ვახდენ პროგნოზირებას:

მომავლის ყულაბა როგორ იმზირება!?

ანუ—როგორია შემოსავალ-გასავალ-ასავალ-დასავალი.

აქტიური აქტები, ფიქტიური—ფაქტები, უკონტრაქტო—კონტრაქტები?...

სასაქონლო ნიშნებით ვაკონტროლებ ამ ციფრებს.

ბალანსი ისე ადვილად გამოდის, პირდაპირ მანცვიფრებს!

დარეჯან რობაქიძე

ახალთერჯოლიდან ძველ თერჯოლამდე

და ძველი თერჯოლიდან ახალ თერჯოლამდე

ვმოძრაობ ფეხით. ე.ი. უმანქანოდ.

რა გახდა ჩემ სახლამდე ერთი „მარშუტკის“ დანიშვნა-სულ ამას ვქაქანობ!

თინა ქოჩიაშვილი

გაზეთ „თერჯოლის“ საპატიო ჟურნალისტი

ღმერთმა შვილიშვილი მაჩუქა

დედა, რა კაი ყოფილა—

აფთიაქის კარი დამავიწყა,

ერთი გაღიმება მამყოფინა,

ჩემს მარიკუნაზე ლეგენდებს ყვებიან

—ენაცვალოს ბებია!

დასასრულს, საახალწლო მიკრო-თათბირის მონაწილეებმა მადლობა გადაუხადეს ადგილობრივ მმართველ სტრუქტურებს გამოჩენილი დახმარებისა და თანადგომისათვის, ასევე, მადლიერება გამოხატეს მრავალრიცხოვანი მკითხველის მიმართ აქტიური თანამშრომლობისათვის. გამოითქვა რწმენა, რომ გაზეთი „თერჯოლა“, კვლავაც იქნება იქ, სადაც უნდა იყოს ე.ი. ცხოვრების შუაგულში.

ნაიარა ჩინჩალაძეს—საახალწლო ხუმრობა-მილოცვა სერიოზულად

გასახარი ხმა მოგვწვდა: „ნაირა ჩინჩალაძეს კორონა დაუმარცხებიაო“...

რა გვიკვირს, ხალხო. ქალბატონმა ნაირამ მთელი ცხოვრება რაიკომში გაატარა, ხელისუფალთა შორის. იყო ადამიანთა კეთილმოსურნე და მიმტევებელი. ამავდროულად პრინციპული და მებრძოლი. გვახსოვს რაიკომის პირველი მდივნებიც კი პოლემიკისას უმალ რომ დაუწევდნენ ხმას, თუ ნაირა ჩინჩალაძე ცალ წარბს აწევდა პროტესტის ნიშნად!..

ნაირა, შენ არ შეგეძლო სხვა-ნაირად... ძველი მეგობრები ძველი სიყვარულით გილოცავთ ახალ წელს.

555 780 855

გთავაზობთ ჩვენი გაზეთის მხატვრის ნამუშევარს.

შეეცადეთ წარსულში თხილამურებით სრიალის მოყვარული ადამიანის წუხილის მიზეზი (ანუ უთოვლობა) გამოხატოთ ერთი ქართული ან ერთი უცხოური წარმომავლობის სიტყვით, ან სულაც ერთი ქართული შორისდებულით.

გამოგვიგზავნეთ მახვილგონივრული პასუხები და თქვენი ვინაობა მთელს დუნიას მოედება.



ახალი წლის ხიბლი

ყოველ ახალ წელს უფლისაგან ნაჩუქარი სიცოცხლის „ყულაბიდან“ თითო წელი გვაკლდება. ეს სევდის მომგვრელია ერთთავად, მაგრამ, სხვაგვარად ნანატრ სიბერემდე ვერ მივალთ. ადამიანები ხომ „თავს ვიკლავთ სიცოცხლისათვის!?“ ასე, რომ თუ გამოწვევებს უნდა დავუდგეთ, მსხვერპლიც უნდა გავიღოთ!

მაგრამ, შევეშვათ ფილოსოფოსობას, იმისა ვთქვათ, რომ ყოველ ახალ წელს თავის განუმეორებელი ხიბლი აქვს. რომ ამ დღეს:

—გვტოვებენ გაფანტული ზრახვები და მხოლოდ კარგზე ვფიქრობთ.

—გარესამყარო უფრო ლამაზად გვიჩანს, ვიდრე ეს არის.

—გვიყვარს უფრო მეტად.

—მძაფრად იგრძნობა სამშობლოს სუნთქვა.

—ადამიანები უღიმიან ერთმანეთს.

—რიგდებიან გაბუტულ-შემდურებულები.

—გვიხარია ერთმანეთი.

—ვცდილობთ სიკეთე დავიკვებოთ.

—მეტს ვიცინით.

—თოვლის ბაბუას (ხურჯინი რა გინდ დაპატარავებული გვეჩვენოს) გულითად მადლობას ვუხდით.

—ვიჯერებთ, რომ დამდეგი წელი მშვიდობას, სიკეთეს და სიყვარულს მოგვიტანს.

—ჩვენს მკითხველებს კი ვპირდებით, რომ კვლავაც ვიქნებით კეთილი ამბების მაცნე, რომ ყოველ მსურველს ექნება გაზეთი „თერჯოლას“ მთელი წლით გამოწერის შესაძლებლობა.

—ჩვენი გაზეთი „თერჯოლა“ თქვენი გაზეთია. იკითხეთ. ის რომ ამბებს მოგიყვებათ, სხვაგან ვერ წაიკითხავთ.

—რაც შეეხება კორონავირუსის თავხედობას და ქცევას საძრახისს—მალე აქეთ დავატოვებინებთ კაკას ხიდს!...

გაზეთი „თერჯოლა“

სანამ ახალი წლის დადგომის მაუწყებელი ზარი თორმეტჯერ ჩამოჰკრავს—დრო რაღაცით ხომ უნდა მოკლათ?

ჰოდა, გაეცით პასუხები ამ მარტივ კითხვებზე და რედაქციაში გამოგვიგზავნეთ.

ერთად შევქმნათ და დავიბედოთ მხიარული განწყობა:

○ კორონამ მთელი მსოფლიო შეძრა: „რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და...

○ კორონას ეპიდემიის გამოჩენისთანავე გარე ბაზრობებზე გამოჩნდა „უებარი“ სამკურნალო საშუალება, რომელიც მალევე „დეფიციტი“ გახდა, ანუ—გაქრა.

ეს იყო...

○ კორონამ არ დაინდო არც უნიღბო, არც ნიღბიანი...

○ ეპიდემია და პანდემია...

○ კორონა-ვირუსი —უსახელო და უჩინო...

○ ზოგი ჭირი მარგებელია...

გვერდის ავტორი
ნუგზარ გამყრელიძე

ვაზი—კაცითა, კაცი—ვაზითა...

ეს კორონას ეპიდემიის შემოჭრამდე ცოტა ადრე იყო. ქ. თერჯოლის მკვიდრის, საკონსერვოს დასახლებაში მცხოვრები, რომან მაკარიძის ოჯახში საქორწინო სუფრა იყო გაშლილი. ოჯახის ფუძის გამგრძელებელი გიორგი მაკარიძე ჯვარს იწერდა ქუთათურ გვანცა ხურციძეზე.

მხვდა პატივი ვყოფილიყავი ლხინის სუფრაზე, გამეზიარებინა მასპინძლისა და მექორწილეთა სიხარული კიდევ ერთი, ახალი ქართული ოჯახის შექმნის გამო. ვფიქრობ ის შთამბეჭდავი დღე დიდხანს ემახსოვრებათ ლხინის მონაწილეთ, თუნდაც იმიტომ, რომ სუფრა გაიშალა არა სადღაც პომპეზურ დარბაზში, როკმუსიკის კაკაფონიაში ყურთასმენა რომ აღარაა ხოლმე და ძაღლი პატრონს ვერ სცნობს, არამედ მამა-პაპურად, ოჯახში.

იმერული პეწით გაწყობილი სუფრა, ნეფე-დედოფალი შესანიშნავი წყვილი, ფერი-ფერსა, მადლი ღმერთსაო რომაა ნათქვამი. მჭერმეტყველი თამადა, ტკბილი ქართული სიმღერები რაიონში ცნობილი მომღერლების—ამირან კუბლაშვილის, ავთანდილ მაკარიძის, ალიკა რიჟამაძის შესრულებით, რომელთაც მექორწილენიც კარგად უბამდნენ მხარს...

სუფრა როგორიც არ უნდა იყოს და რა პურ-მარილიც ელაგოს ზედ, მთავარი მაინც ღვინოა. იმ დღეს ისეთი სასიამოვნო ბუკეტის, ლალისფერი ღვინო შეთავაზათ მოწვეულ სტუმრებს მასპინძელმა, რომ მექორწილეთაგან ერთი მეორეს ეკითხებოდა, სადაურია, ხომ არ იცით რომელი მარნიდან მოიტანაო. სხვა მარნიდან მოსატანი რა სჭირს, თავად აქვს სახლში მარანი, მაგისთანა მევენახე და მეღვინე ბევრი არ მეგულება რაიონშიო, პასუხობდნენ საქმეში ჩახედულები.

სწორედ ასეთი, მეტყველი დახასიათების გამო გადავწყვიტეთ გაგვეცნო ბატონი რომანი გაზეთის საახალწლო ნომერში მკითხველისათვის.

ვნახეთ შემდგომ, დავათვალიერეთ სასოებით მოვლილი მისი სახლი და კარი, ეზო და რიადაგე. აგერ ვენახი და რა ვენახი. მარანი ჩასავალი ჭურებით და უჟანგავი ღვინის ბუტებით, სიმინდით სავსე ნალია...

ცხადია მოსავლით დავინტერესდით, სამეურნეო წლის შედეგით, ვისაუბრეთ სხვა აქეთურზე-იქითურზე.

გვალვის მიუხედავად სიმინდის კარგი მოსავალი მოვიწიე, გვეუბნება ბატონი რომანი. ვენახმა ხომ მოლოდინს გადააჭარბა და რაც მთავარია წელს ყურძნის მოსავალი ხარისხიანი იყო. მშრალი, მზიანი ამინდები უყვარს დალოცვილს, ჩვილი ბავშვივით მოვლა-პატრონობა. სამიათასი ძირი სულ ციცქა-ცოლიკაურის მაქვს, უნიკალური ჯიშებიდან ოცხანურის საფერე და ოჯალეში. ოპტიმალურ პირობებში საშუალოდ წლიურად 10-11 ტონა ყურძენს ვკრეფთ. მიხვდებით მის მოყვანა-გადამუშავებას რა ძალისხმევა დასჭირდება, მაგრამ უშრომლად სხვა რა არის რომ ეს დალოცვილი მოვიდეს.

ვაზის სიყვარული მამა-პაპით მომდგამს, მე ამ საქმეში ჩახედული ვარ და კარგად ვიცი, რა როლი შეასრულა ვაზმა ქართველი კაცის სულიერებისა და ფიზიკური გადარჩენის გზაზე, რომ ოდითგან იყო „ვაზი-კაცითა და კაცი—ვაზითა“.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ შეიმჩნევა გულის აცრუება ვაზზე და საერთოდ შრომაზეც, შრომისუნარიანთა დიდ ნაწილს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს უცხოეთში წასასვლელად უჭირავთ თვალი.

არ შეიძლება იმერელმა და მითუმეტეს თერჯოლელმა კაცმა ვაზს უღალატოს. მუშაობაც მეტი გვჭირდება, რომ ათასი სატკივარით გაჯერებულ ცხოვრებას გავუმკლავდეთ.

ახალი ცხოვრების შენების კვალობაზე კი არის პრობლემები, მაგრამ თუ ხელს გაანძრევ და რიგიანად გაირჯები, აქაც შეიძლება ნორმალურად იცხოვრო. პირადად მთელი ჯალაბით ვარ ჩაბმული სამეურნეო საქმიანობაში. რასაც ხედავთ აქ ყველაფერი შრომის მადლითაა.

კარგია, რომ სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა ქვეყანაში სოფლის მეურნეობის დარგს: სოფლის დახმარების პროგრამამ გარკვეული შეღავათი მოგვცვა მეურნეებს.

წლითი-წლობით მეტი თანხები იდება სოფლის მეურნეობაში და ეს არცაა გასაკვირი. თუ არ აღორძინდა სოფელი, ვერ გაიმართება წელში ქვეყანა. ასეთი ნაყოფიერი ნიადაგის მქონე სახელმწიფოს ასეთი დიდი ოდენობით გარედან პროდუქტების შემოტანა არ უნდა სჭირდებოდეს. სოფლის ნობათის გადამამუშავებელი საწარმოები უნდა გაკეთდეს სასოფლო რეგიონებში.

სიამაყით ვიხსენებ იმ პერიოდს, როცა თერჯოლაში მრავლად იყო ფაბრიკა-ქარხნები, ერთი-მეორის მიყოლებით შენდებოდა ახალი საწარმოები. აგერ კარისძირში მძლავრი საკონსერვო კომბინატი იყო. მე ამ საწარმოში ერთ-ერთი წამყვანი თანამდებობა მეკავა. სამასზე მეტი მუშახელი იყო დასაქმებული. საკონსერვოს ამოქმედებამ დიდად წაახალისა სოფლის მეურნეობის ისეთი დარგები, როგორებიცაა: მევენახეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა. შეუფერხებლად ვიღებდით ყველა სახის მოსავალს, მათ შორის გარეული მცენარეების ნაყოფსაც, როგორიცაა ასკილი. ჩვენთან მოსავალი ჩასაბარებლად მოჰქონდათ სხვა რაიონებიდანაც, კერძოდ: ცაგერიდან, ბაღდათიდან, ხარაგაულიდან... ნაწარმიდან იაპონიაში იგზავნებოდა კაკლის მურაბა, ინგლისში ტომატ-პასტები, დიდი იყო მოთხოვნილება ღვინოებსა და ღვინომასალებზე სხვადასხვა ქვეყნებში. სამწუხაროდ, ახლა მეურნეებს ჯერ მოყვანა უჭირთ მოსავლის, შემდეგ იმის ფიქრში არიან სად წაიღონ ჭარბი პროდუქტები. უნიკალური ჯიშია ჩვენებური ციცქა საშამპანურედ, მაგრამ იმასაც კი აღარა ჰყავს მთხოვნელი... მოვიდნენ დალოცვილი, ეს ჩვენი ქართველი ბიზნესმენები, ჩადონ სოფლის მეურნეობაში ფული, თითონაც იხეირებენ და გლეხიც ახეირონ.

გვაქვს დიდი იმედი, რომ ამ სატკივარსაც ეშველება, მაგრამ რაც მალე იქნება, მით მეტი მოგებული დარჩება ხალხიც და ქვეყანა.

ახლა მთავარი საფიქრალი ისაა, როგორმე, ყველამ ერთად, კორონას საშინელი ეპიდემია დავამარცხოთ. ვხედავთ ძალიან გართულდა ვითარება, იმერეთში განსაკუთრებით. ჩემი მთავარი საახალწლო სურვილიც ესაა რა თქმა უნდა—საზოგადოებისა და ქვეყნის გამთლიანება თავისთავად.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ახალი წლის დადგომა მივულოცო ყველა ჩემს კოლეგა მეურნეს და მეზვრე-მევენახეს. ღმერთმა ყველა სურვილი აუხდინოთ.

ჩვენის მხრიდანაც ვულოცავ ბატონ რომანს და მთელს მის ოჯახს ახალი, 2021 წლის შემობრძანებას. ჯანის სიმრთელე არ მოაკლოს ღმერთმა, ხვავი და ბარაქა.

შვილიშვილების სიმრავლე გვისურვებია.

ი. ერაძე

2021 წლისათვის აუცილებლად გამოიწერეთ თქვენი ერთგული მეგობარი გაზეთი „თერჯოლა“!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

გაზეთის ერთი ნომრის ღირებულებაა 50 თეთრი, 6 თვით - 6 ლარი, წლით - 12 ლარი. ხელმომწერთათვის დადგენილია სხვადასხვა შეღავათები.

ციალა ღიბრაძე

ოჯახს, საახლობლოს, პედაგოგიურ საზოგადოებას, ყველას, ვინც ვიცნობდით ან საქმიანი ურთიერთობები გვქონდა გული დაგვწყვიტა ქალბატონი ციალა ღიბრაძის გარდაცვალებამ.



ქალბატონი ციალა გახლდათ საზოგადო მოღვაწე, მრავალი წლის განმავლობაში მსახურებდა მშობლიურ რაიონს. იყო წარმატებული პედაგოგიც (გერმანული ენის სპეციალისტი), განათლებისა და კულტურის განყოფილების გამგეც...

მისი, როგორც ხელმძღვანელის ნიჭი და უნარი სრულად გამოვლინდა რაიონის ახალგაზრდულ და მმართველ ორგანოებში ხელმძღვანელ პოსტებზე მუშაობისას. ჩინებულ ორატორს და პოლემიკოსს მომადლებული ჰქონდა უნარი—მიზანი რეალობად ექცია. მას უსმენდნენ და ენდობოდნენ.

ციალა ღიბრაძეს, როგორც ნიჭიერ ორგანიზატორს პატივს სცემდნენ რესპუბლიკურ სამთავრობო ორგანოებში. იწვევდნენ და ტრიბუნას უთმობდნენ მაღალი დონის ფორუმებზე. ინტერესდებოდნენ მისეული იდეებითა და მოსაზრებებით.

შინაგანი კულტურა და ადამიანური ხიბლი უადვილებდა მას ყოფილიყო წარმატებული.

ვწუხვართ, რომ წარსულ დროში გვიწევს საუბარი ადამიანზე, რომელიც მოვიდა, იღვაწა, შექმნა...

უზომოა შვილების: სოფიკოს, მაიას, მამუკას და შვილიშვილების ტკივილი საყვარელი დედისა და ბებიის გარდაცვალების გამო, ვუსამძიმრებთ მათ.

ციალა ღიბრაძე გარდაიცვალა და დაგვიტოვა სევდა, ღიმილიც დაგვიტოვა მისეული, კეთილი ღიმილი...

ციალა ღიბრაძე—გმადლობთ, რომ იყავი. ნათელი შენს სამარადისო სამყოფელს.

მეგობრები

ეწრის საბავშვო ბაღის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სოფლის საჯარო სკოლის დირექტორი

დათო არაბიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ეწრის საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ქალბატონ მაია თორთლაძეს ბიძის

ამირან ჩხიკვაძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „თერჯოლის“ რედაქცია თანაუგრძნობს დათო და ქეთინო ისაკაძეებს მამის

ბუღუ ისაკაძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „თერჯოლის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს გაზეთის ყოფილ თანამშრომელ თინა ქოჩიაშვილს ბიძის

ბუღუ ისაკაძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „თერჯოლის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს მაია კლდიაშვილს დედის

ციალა ღიბრაძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „თერჯოლის“ რედაქცია უსამძიმრებს მამა სპირიდონს დედის

ლიზა ცქიფურიშვილის

გარდაცვალების გამო.

უცხოეთში გაფანტული ოქროს საწმისები ანუ ანოტაცია ერთი ახლად გამოცემული წიგნის გამო

მათეს სახარებაში ესაია წინასწარმეტყველი ბრძანებს: „მათმა აიღო ჩვენი უძლურებანი და იტვირთა ჩვენი სნებანი“. უცხოეთში მყოფი სამოცდაათ წელს მიღწეული მანდილოსნების ტკივილები, სიხარული, სამშობლოს მოშორებული ნოსტალგიური ცრემლების ნაკადული იღვრება ჩვენი თანამემამულის ქალბატონ ია ტყაბლაძის ახლადდასტამბულ წიგნში—მარად ახალგაზრდები.

წიგნი გასული საუკუნის 70-იანი წლების ერთი თაობის მატიანეა. თაობისა, რომელმაც ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა და უანგაროდ ემსახურა ქვეყნის განათლებას, კულტურას, სულიერებას, ოჯახის სიმტკიცეს, ზნეობრივ და მატერიალურ ყოფიერებას.

წიგნის სპონსორი ჩვენი თანამემამულე ალისუბნელი ლიანა კუტივაძე და ზესტაფონელი ფაიზი კახიაშვილი გახლავთ.

წიგნის შესავალში ავტორი წერს: „არ ვიცი როდის, როგორ და საიდან შემოფრინდა ჩემს აზოვნებაში ის სურვილი, რომ ინტერნეტჩართვების შედეგად განხორციელებული გულწრფელი ხალისიან-ტკივილიანი, შაირ-ლექსები, ჩვენი საუბრები ერთი ამოსუნთქვით ამეკინძა, ერთ ჩარჩოში მომექცია და წიგნად შეკრული თქვენს წინ დამედო. ნაშრომი საოცრად გულწრფელი და ახლობელია. ლიანა კუტივაძემ და ფაიზი კახნიაშვილმა შეძლეს მეგობრების გახარება, მოფერება სულის გათბობა“.

წიგნის ავტორს, ჩვენს თანამემამულეს, გოდოგნიდან ია ტყაბლაძეს საინტერესო ცხოვრების გზა აქვს გავლილი. იგი ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს რვა გზის შაშის უცვლელი ჩემპიონი გახლდათ ქვეყნის მასშტაბით. ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას ქუთაისში, აქვს სანიმუშო მაღალზნეობრივი ოჯახი. მისი ნიჭიერების წყალობით წიგნის ფურცლებიდან სითბო და სიყვარული წმინდა მირონივით იფრქვევა.

წიგნი ერთი თაობის ღიმილიანი, სევდიანი, ცრემლიანი და იუმორში გაზავებული ცხოვრების მატიანეა. წიგნის მთავარი ღირსება კი სხვა ღირსებასთან ერთადერთი რამაა, მისი ფურცლებიდან მოისმის ლექსად ღაღადისი ჩვენი მეგობარი მანდილოსნებისა, რომლებიც უკვე რამოდენიმე ათეული წლებია საზღვარგარეთ ცხოვრობენ და მოწყვეტილი არიან სამშობლოს, ოჯახს, მეგობრებს, ადგილის დედას, სადაც გაღვივდა და გაიფურჩქნა მათი ლამაზი ყვავილიანი ცხოვრება.

მათ ნააზრევში ლექსად გადმოღვრილ სტრიქონებში აშკარად სჩანს მათსავით სევდა, მათსავით ოპტიმიზმი, უსაზღვრო მონატრება უსაზღვრო სიყვარული, უსაზღვრო ნიჭიერება და უსაზღვრო ერთგულება ქვეყნისა და ოჯახისადმი.

ხმამაღლა ვამბობ: საზღვარგარეთ მყოფ ქართველ მანდილოსნებს ჩვენგან მეტი მხარდაჭერა, გამხნევება და ყურადღება სჭირდება, რადგან არავინ მათზე მეტად არ აკეთებს ქართულ საქმეს. ისინი მტკიცე ნებისყოფის ადამიანები არიან. სწორედ მათი დამსახურებაა ჩვენი ოჯახების მატერიალური კეთილდღეობა და სულიერი გამხნევება. ისინი თავიანთი ეფემერული ცხოვრების ხარჯზე ჩვენს ქვეყანას ეკონომიკურ, მატერიალურ და ფსიქოლოგიურ დვრიტას უკაჟებენ, აძლიერებენ.

ეს წიგნი პირველი ცდაა ამ კეთილშობილ, ნიჭიერ და შემოქმედ ადამიანებთან დაკონტაქტებისა.

ისინი გატაცებულ ოქროს საწმისებს გვანან, ჩვენ რომ დაგვაკლდა და ცხრა მთას იქით ჰელიოსის ოქროსფერი სხივებით კაშკაშებენ.

გაგაცნობთ მათ:

ჩვენი თანამემამულე ლუიზა კუპატაძე, შესანიშნავი მანდილოსანი, თავის დროზე თერჯოლაში მოფუსფუსე დედაფუტკარი, რომელიც უანგაროდ, გამორჩეული ნიჭით ემსახურა ჩვენს რაიონს კულტურისა და განათლების სფეროში. ბატონ პატრონი შესანიშნავი ოჯახისა, მეუღლე აწ გარდაცვლილი ვასო არაბიძისა, რომელმაც თავის რედაქტორობით თუ პარტიულ საბჭოთა ორგანოებში მუშაობით ღირსეული კვალი დაამჩნია რაიონს.

ლუიზა ოცი წელიწადია ათენში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ხაზს ვუსვამ მოღვაწეობს, რადგან იქ ქართულ და ბერძნულ კულტურებს ჩაჰკირკიტებს და ახალ ურთიერთობებს ეძებს.

მინდა ლუიზას ოცი წლის ნაგროვები სევდა მონატრება მისივე ლექსით გაგაცნოთ:

„ბედმა დამსაჯა, შორს
გადამხიზნა,
ცად აწვდილი მაქვს ლოცვად
ხელები,
დიდ ნატვრად მექცა ის დღე,
როდესაც
დავბრუნდები და
მოგეფერები.
წუთიც არ არის ჩემში
უშენოდ,
ყველა ფიქრის გზა შენამდის
მოდის...
ვიცი უთუოდ რომ
დავბრუნდები,
მაგრამ რატომღაც არ ვიცი
როდის“.

საბერძნეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს ლუიზას თანაკურსელი ლიანა ბერძენაძე, რომლის შეფასებები ამ წიგნში მის დიდ ნიჭიერებაზე მიუთითებს.

იტალიაში მოღვაწეობს ორი საინტერესო ქალბატონი: ნანა ქომეთიანი და ნანული ჩირგაძე.

ლიანა კუტივაძე

ფაიზი კახნიაშვილი

ია ტყაბლაძე


დათო ჯალაღანია

ნანა ქომეთიანი უნაზესი სულის მატარებელი პოეტი, სულ ახლახანს დაიბეჭდა მისი ლექსთა სამასგვერდიანი კრებული „პეპელას ფრთებზე ავკიდე მადლი“.

როგორი მძაფრი განცდაა ნანა ქომეთიანის, სამშობლოს დაშორებული ადამიანის, მის ერთ სტრიქონში:

„როცა გამშორდი სიმწრისაგან ქვამარილს ვკვნეტდი,
იცი რას ნიშნავს სნეულთათვის რომ იყო კენტი?
ეს იგივეა ჩაუქრობელ ცეცხლში იწვოდე,
გთხოვ პოეზიავ, ცხელი მაჯა გამომიწოდე“.

წიგნში ლუიზა კუპატაძისა და ნანა ქომეთიანის ლექსთა კაფიაობა სულთა უნაზეს გრაციას ესალბუნება...

ლექსით გამხნევებისა და თანადგომის ლამაზი ოროველაა ნანა ქომეთიანის მიმართვა მედიკო ბენდელიანისადმი:

„შენს ტკივილს ჩვენი რას შეედრება,
ვინღა მოგირჩენს ძირღრმა იარებს,
სვეგატეხილმა უღელტეხილზე,
სისხლით დაცლილმა გადმოიარე“.

მედიკო ბენდელიანი: „ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ავადმოსაგონარი აფხაზეთის ტრაგედიის დროს შვილებთან ერთად ფეხით გადმოვიდა ჭუბერზე, მეუღლე აფხაზებმა ტყვედ აიყვანეს, აბაშაში ჩამოსულმა მედიკომ სამოქალაქო ომის სამარცხვინო ბატალიები დაინახა...

ნანული ჩირგაძე ფლორენციაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ნანული ხონის რაიკომის მეორე მდივანი იყო. მან შესანიშნავად შეისწავლა იტალიური ენა, სწავლა გააგრძელა ფლორენციის საკვალიფიკაციო უნივერსიტეტში, მინიჭებული აქვს თარჯიმანის სტატუსი, იტალიურად თარგმნის გალაკტიონის ლექსებს.

იქ, ფლორენციაში ატარებს ქართული პოეზიის საღამოებს.

წიგნში უამრავ თანატოლებზე და მეგობრებზე არის გულთბილი სტრიქონები, მაგრამ ანოტაციაში საზღვარგარეთ მყოფ მეგობრებზე გავამახვილე ყურადღება, უფროსწორად, ეს წიგნის ლეიტმოტივიცაა.

მადლობა ქალბატონ ლიანა კუტივაძეს და ქალბატონ ფაიზის ამ წიგნის მეცენატობისათვის. ლიანა ალისუბანში დაბადებული, სახელოვანი სამოელ კუტივაძის ოჯახში აღზრდილი ქალბატონია, მისი შვილი ლაშა ზამბახიძე დიდ კულტურულ ქართულ საქმეს ეწევა ჰოლივუდში. მადლობა ქალბატონ იას წიგნში ჩაქსოვილი სიყვარულისათვის. წიგნი დასურათებულია, მართალია წიგნს და მის ავტორს არ აქვს პრეტენზია ძალიან ფართო მკითხველისათვის, მაგრამ იგი ერთგვარი მემატიანეა ადამიანთა ერთი შევერცხლილი თაობისა.

ანოტაციას ავტორის ია ტყაბლაძის ლექსის პწკარებით დავასრულებთ:

**„საქართველოში უნდა
იმრავლოს
საქართველოში უნდა
იმძლავროს
უპირველესად, უპირველესად, უპირველესად
ჯიშმა ქართულმა“.**

დემურ ყვავაძე

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75
მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: gazetiterjola@mail.ru

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872